

ქართული სწორი წესების  
ს ე კ ი თ ხ ე ბ ი



## სწორმეტყველების ზინაარსი და დანიშნულება

სწორი მშობლიური ლიტერატურული მეტყველების დაუფლება დღეს ყოველი საბჭოთა მოქალაქის საპატიო მოვალეობაა. ყოველ მშრომელს. მაღალ საზოგადოებრივ შეგნებასთან ერთად, მეტყველების მაღალი კულტურა მოეთხოვება. საბჭოთა ადამიანი თავის აზრებსა და გრძნობებს ყველასათვის გასაგებ, სწორ, მკაფიო და მიმზიდველ ენობრივ ფორმებში უნდა აყალიბებდეს, ზედმიწევნით უნდა ფლობდეს სწორმეტყველებას.

ზოგი პროფესიის მუშაკისათვის სწორმეტყველებას საგანგებო მნიშვნელობა აქვს და მის გარეშე არაერთი წარმატების მოპოვება თავის საქმიანობაში არ შეუძლია. ეს ეხება. განსაკუთრებით, მასწავლებელს, ლექტორს. პროპაგანდისტს, მწერალს, მეცნიერ მუშაკს, მსახიობს და სხვას.

ლიტერატურული ენის დაუფლების ეს აუცილებლობა ბუნებრივად იწვევს საჭიროებას გაიჩვენოს სწორმეტყველების რაობისა და მნიშვნელობის საკითხი ენის სიწმინდისა და მისი კულტურის საკითხებთან დაკავშირებით.

ენის დანიშნულება ურთიერთგაგებინებაა. სწორი კულტურული მეტყველების მიზანს გაგებინების ადვილად მიღწევა შეადგენს. სწორ გამოთქმად ის ჩაითვლება. რაც ზუსტად გამოხატავს მოლაპარაკის სათქმელს და ადვილად გასაგებია მსმენელისათვის, ხოლო ნათლად და გასაგებად მხოლოდ მაშინ ჩამოაყალიბებს ადამიანი თავის აზრებს, როდესაც ყველასაგან აღიარებულ და საზოგადოდ მიჩნეულ ენობრივ მასალას (სიტყვათა მარაგს, გრამატიკულ ფორმებს) გამოიყენებს.

თავის დიდ მოწოდებას ენა საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროში მხოლოდ იმის გამო ასრულებს. რომ იგი გასაგებია საზოგადოების ყველა წევრისათვის, მთელი ე. წ. ენობრივი კოლექტივისათვის. საკმარისია ენამ დაკარგოს ეს საერთო, საზოგადოებრივი ხასიათი, რომ იგი აღარ იყოს ადამიანთა ურთიერთობის საშუალება.

მაშასადამე, თუ გვსურს ენა ისე გამოვიყენოთ. რომ თავის დიდ სოციალურ დანიშნულებას კარგად ასრულებდეს. საჭიროა, პირველყოვლისა, დავიცვათ საუკუნეების მანძილზე საზოგადოებრივი კოლექტი-

ვრს მეორე გამომუშავებული ენის საფუძველი. მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა.

თუ მოლაპარაკემ მოისურვა ენაში შეიტანოს რაიმე ხელოვნური გამოგონებანი, იგი აუცილებლად მოსწყდება ენას, მაშასადამე, მოსწყდება ხალხს, საზოგადოებას და მისგან გარიყული დარჩება.

მეტყველების პროცესმა, რომელიც არა ნაკლებ ორ ადამიანს შორის მიმდინარეობს, უნდა უზრუნველყოს მოლაპარაკის აზრის აღნუსხვა, ე. ი. სიტყვიერ (მატერიალურ) ფორმებში ჩამოყალიბება და ისე მიწოდება მსმენელისათვის, რომ მან ადვილად აითვისოს იგი—გაიგონოს მოლაპარაკის მიერ წარმოთქმული წინადადება და გაიგოს მისი შინაარსი.

ცნობილია, რომ აზრის აღნუსხვა-გამოხატვისათვის ენას მეტად უხვი მასალა მოეპოვება ლექსიკური (სიტყვიერი) ფონდისა და გრამატიკული ფორმების სახით. ყოველი მოლაპარაკე ფლობს ლექსიკური შემადგენლობის გარკვეულ მარაგს. თავის განკარგულებაში არსებულ სიტყვათა ამ მარაგიდან მოლაპარაკე აზრების გამოსახატავად არჩევს საჭირო სიტყვებს და არსებული წესების მიხედვით ადგენს მათგან გამოთქმებს, აყალიბებს წინადადებებს. რაც უფრო მდიდარია მოლაპარაკის სიტყვათა საგანძური, მით უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს მას თავისი აზრების სრულყოფილად გამოთქმისათვის, ხოლო მით უფრო უხვია მისი სიტყვიერი მარაგი, რაც მეტია მისი ცოდნა და გამოცდილება, სინამდვილის რაც უფრო მეტ მასშტაბს სწვდება მისი ცნობიერება.

სიტყვათა მარაგიც და გრამატიკული წყობის ნაირნაირი ფორმებიც მოლაპარაკეს მზამზარეულად გადმოეცემა წინა თაობებიდან. საუკუნეთა განმავლობაში ენას გამომუშავებული აქვს აზრების გამოხატვის ხელსაყრელი სიტყვიერი და გრამატიკული ფორმები, ყველაზე ეკონომიური, უბრალო, მოკლე და გასაგებად ჩამოსხმული გამოთქმების სახით. მრავალი თაობის მონაწილეობით შექმნილი ეს ენობრივი მიღწევები წერილობით ძეგლებში, წიგნებში არის შემონახული ლიტერატურული ენის სახით, რომელსაც გამდიდრება-განვითარების გრძელი გზა აქვს გავლილი და რომელიც ყოველთვის საუკეთესო და შერჩეული, საგანგებოდ დახვეწილ-გაშალაშინებული ელემენტების შესაკრებს წარმოადგენს. იგი ერთიანი და საერთო ეროვნული ენაა.

ამგვარად, სწორმეტყველება იგივე ლიტერატურული მეტყველებაა და მისი პირველი და ძირითადი დანიშნულებაა აზრების სწორად, მოკლედ, მსმენელისთვის გასაგებად ჩამოსხმა-ჩამოყალიბება შესაბამის სიტყვიერ ფორმებში; მაგრამ სწორმეტყველებას მეორე მხარეც აქვს: ესაა მკაფიო წარმოთქმა, რაც გაგონებისა და გაგებინების უმთავრესი საშუალებაა. მკაფიო წარმოთქმა გულისხმობს უკვე მოფიქრებული,

სიტყვებად და წინადადებებად ჩამოყალიბებული სათქმელის ისე წარმოთქმას, რომ მსმენელმა კარგად გაიგონოს და გაიგოს სიტყვებში ჩაქსოვილი აზრი. რაც უფრო მკაფიოდ, ყველასათვის გასაგონად არის წარმოთქმული, რაც უფრო სმენისათვის ადვილი და სასიამოვნო ასათვისებელია სიტყვებით და წინადადებებში სიტყვათა შეკავშირებით გამოხატული აზრები, მით უფრო ადვილად გაიგებს მათ მსმენელი.

ენობრივი პროცესის პირველი მხარე, — აზრების გადმოცემის ხელოვნება, სამეტყველო სტილის სახელით არის ცნობილი, მეორეს კი (ენის ფონეტიკურ მხარეს, ანუ წარმოთქმას) დიქციას უწოდებენ.

ნათელი სტილი და მკაფიო წარმოთქმა ადამიანის საზოგადოებრივ-კულტურული მოღვაწეობის ერთ მთლიან პროცესად, სწორ ზეპირ-მეტყველებად გვევლინება. მის აღსანიშნავად ძველ ბერძნულ ტერმინს ὀρθοφωνίαსაც ხმარობენ, რაც სიტყვა-სიტყვით მართლმეტყველებას ნიშნავს.

სწორი წერილობითი მეტყველებაც, რასაკვირველია, გულისხმობს აზრების სწორად გამოხატვასა და გადმოცემას, მაგრამ წარმოთქმის მომენტი წერის პროცესში მოხსნილია, ვინაიდან დამწერი პირისპირ არ დგას მსმენელთან, დამწერი მოლაპარაკის როლში არ გამოდის, იგი თავის აზრებს მარტო, მსმენელის დაუსწრებლად აყალიბებს და აწოდებს მას ოპტიკურად გამოხატული საშუალებით (ნაწერით).

ნაგულისხმევია, რომ მსმენელი, რომელიც წამკითხველის როლში გამოდის, სხვა დროს და, შესაძლებელია, სხვა ადგილზეც გაიგებს დამწერის აზრს დაწერილის წაკითხვის გზით.

გასაგებია, რომ წერილობით მეტყველებაში ენობრივი მიწოდების საშუალებად, წარმოთქმის ნაცვლად, სხვა რამ გამოდის, სახელდობრ, ნაწერის სწორად შესრულება: რაც უფრო გამოკვეთილად, მკაფიო ასოებით, სიმეტრიული მოხაზულობით, სუფთად, ლამაზად და უშეცდომოდ იქნება შესრულებული ნაწერი, მით უფრო მეტადაა შესაძლებელი მისი ადვილად წაკითხვა და გაგება.

დამწერის წინაშე წამოჭრილი საჭიროება ნაწერის სუფთად, გამართულად და უშეცდომოდ შესრულებისა მართლწერის, ანუ ორთოგრაფიის საგანს შეადგენს: ორთოგრაფია სწორი წერითი მეტყველების სავალდებულო წესების სისტემაა, მას უკავშირდება სასვენი ნიშნების სწორად ხმარების წესებიც (პუნქტუაცია) და წერაში გრამატიკული ნორმების დაცვის საკითხებიც.

ამგვარად, აზრის ზუსტად გამოხატვისათვის მოლაპარაკის მიერ შესაბამისი სიტყვების შერჩევით შექმნილი ენის სწორი, წმინდა ლიტერატურული სტილი, სამეტყველო აპარატის წესიერად მოხმარების შედეგად მიღწეული ბუნებრივი და მკაფიო წარმოთქმა (დიქცია).

მართლწერა. ანუ ორთოგრაფია მთლიანობაში ქმნის იმას, რასაც ჩვენ სწორმეტყველებას ვუწოდებთ.

ენის კულტურა სწორედ სწორმეტყველების მოთხოვნათა შესრულებასა და დაცვაში გამოიხატება. რაც უფრო მეტია ენის შესაძლებლობანი ადვილად გაგებინების თვალსაზრისით, ანუ რაც უფრო დაზუსტებული და განვითარებულია მისი სტილი, წარმოთქმა და მართლწერა, მით უფრო მაღალია ენის კულტურა.

ენის კულტურის შემქმნელი თვით ენობრივი კოლექტივია. საზოგადოების მიერ ენის მოხმარების ხანგრძლივი პრაქტიკაა ის საფუძველი. რაზედაც ყალიბდება, იხვეწება და მდიდრდება ახალ-ახალი გაუმჯობესებული სამეტყველო ბერბები და საშუალებანი.

საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი ენის ძირითადი ლექსიკური ფონდისა და გრამატიკული წყობის თანდათანობითი ცვლა განპირობებულია იმ ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიული ცვლით, რომელსაც შესასწავლი ენა ეკუთვნის და რომელიც ამ ენის შემოქმედი და მატარებელია.

წარმოების განვითარება, სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებანი სახელმწიფოთა და ხალხთა ცხოვრებაში უშუალოდ იწვევენ ცვლილებებს ენაში. ამავე დროს ეს ცვლილებანი ენის ახალ-ახალ მიღწევებში შედარდება: ლექსიკური შემადგენლობა ივსება, ხოლო გრამატიკული წყობა იხვეწება, უფრო მოქნილი და სრულყოფილი ხდება.

ენის ეს გაუმჯობესება, სრულყოფა და გამდიდრება ხდება, როგორც ისტორია გვიჩვენებს, საზოგადოების განვითარებასთან ერთად, მისი წინსვლის კვალდაკვალ, ხდება იმიტომ, რომ ენა არ მოძველდეს. არ ჩამორჩეს პროგრესს, რომ იგი წარმატებით ემსახურებოდეს მთელ საზოგადოებას, მთელ ხალხს. ამაში უნდა ვეძიოთ სწორმეტყველების პრინციპთა ნელი, მაგრამ განუწყვეტელი ცვლა საუკუნეთა განმავლობაში, ამის საფუძველზე უნდა ავსნათ სწორმეტყველების ცნების უაღრესად ისტორიული ხასიათი.

აქვე დგება საკითხი ენის სიწმინდისა და მისი დაცვის შესახებ. ბრძოლა ენის სიწმინდისათვის ეს არის ბრძოლა ერთიანი და საერთო სწორი ლიტერატურული ენის დასაცავად.

ენობრივი კოლექტივი, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ საფეხურზე საერთო სახალხო ენის მოხმარების დარგში განსაზღვრულ შედეგებს აღწევს, მტკიცედ იცავს მის მიერ გამოიმუშავებულ ენობრივ ნორმებს და ეწინააღმდეგება ყოველგვარ ცდას - კერძოპიროვნული ინტერესების შესაბამისად იქნეს ენა შეცვლილი. ებრძვის ადგილობრივი (კუთხური) კილოების, ქარგონების, პიროვნულ დამახინჯებათა გამოვლინებასა და მოზღვაებას ენაში.

ენობრივი კოლექტივის მიერ ენის ამ დაცვაში, მის მისწრაფებაში კონდეს ყველასათვის გასაგები, საერთო და ერთიანი მეტყველება, გამოიხატება სწორედ ბრძოლა ენის სიწმინდისათვის, „ენის სიწმინდის დაცვა მეტყველების კულტურის თანმხლებია“ (ვ. თოფურია).

ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ ენის სიწმინდის დაცვა და მისი ეფექტურად გამოყენება მოლაპარაკე პირთა კერძო სურვილებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ იგი საერთო სახალხო და, მაშასადამე, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ამის შეგნება თვითეულ მოქალაქეს სერიოზული ამოცანების წინაშე აყენებს, იგი გვავალებს სრული პასუხისმგებლობით მოვეპყროთ მშობლიურ მეტყველებას, ყოველ ნაბიჯზე ვუვლიდეთ და ვუფრთხილდებოდეთ მას, როგორც ჩვენი წარმატებების გამომხატველს, საზოგადოებასთან, ხალხთან ჩვენი კავშირის მაჩვენებელს, ჩვენი აზროვნების მუშაობის აღმრიცხველსა და გამფორმებელს.

განსაკუთრებით დიდია ცოცხალი ზეპირი სიტყვის ქმედითი ძალა მ.შინ. როდესაც მოლაპარაკე სწორი გრამატიკული წყობით, სხარტად. გასაგებად და სასიამოვნოდ გადმოსცემს თავის აზრებს, როდესაც იგი წინასწარ მოფიქრებულ, მოაღენილად შეხამებულ სიტყვებსა და გამოთქმებში აქსოვს სათქმელს, იცავს ლაპარაკში მტკიცე გეგმიანობას, ლოგიკურ თანამიმდევრობას, როდესაც მისი ხმა ეღერს მკაფიოდ და მიმზიდველად.

ასეთი მოლაპარაკე უდიდეს ავტორიტეტს იმსახურებს მსმენელთა შორის, მას აღტაცებით უსმენენ, მისი ფიქრები, აზრები და გამოთქმები ყველას კარგად ესმის და სჯერა.

გავიხსენოთ, თუ რა დიდი პატივისცემითა და მოწიწებით ეპყრობოდა და ეპყრობა ჩვენი ხალხი სოფლად და ქალაქად გამოჩენილ მთხრობელებს, კარგ მთქმელებს, ცოცხალი სახოვანი სიტყვისა და გამოთქმის „ენაწყლიან“ ადამიანებს, მახვილი სიტყვის მქონეთ. საჯარო ყრილობა-შეკრებებსა და გართობა-დღეობებში პირველი ადგილი ყოველთვის იმ დარბაისელ ადამიანებს ეთმობოდათ, რომელთაც სახოვნად, მოხდენილად, დალაგებულად შეეძლოთ გამოეხატათ ხალხის ლხენა და ჭირ-ვარამი, ელაპარაკათ თავდაპირილად, გარემოების შესაბამისად, ბრძნულად და დაფიქრებულად, ისე, როგორც ერთ ხალხურ ლექსში არის მითითებული:

შავს ლუდსა. წითელს ღვინოსა,  
გახა ყოველთვის სპა უნდა.  
პირში მოსულსა სიტყვასა  
განა სუყველას თქმა უნდა?

ადამიანის ესთეტიკური ტკობის უშრეტ წყაროს წარმოადგენს კახ-  
ბულსიტყვიერი ხელოვნება (პოეზია და პროზა), რომელიც აგრეთვე  
მხოლოდ და მხოლოდ სწორად გააზრებული და წარმოთქმული (დაწე-  
რილი) სიტყვის შემოქმედებითად გამოყენებას გულისხმობს.

ხალხის მიერ შექმნილი ზეპირსიტყვიერი შემოქმედება უბრალო,  
სადა და ლამაზ მეტყველებაში ასახავს მაღალ, კეთილშობილურ იდე-  
ებსა და გრძნობებს, ბრწყინვალე პოეტური სახეებით გამოხატავს ხალ-  
ხის მრავალფეროვან ცხოვრებას.



ქართული ენა ერთ-ერთი უძველესი, მდიდარი და განვითარებული  
ენაა. საბჭოთა ეპოქაში იგი კიდევ უფრო გამდიდრდა და გაიზარდა  
სოციალისტური ცხოვრების წინსვლა-განვითარების კვალდაკვალ.

ქართული სალიტერატურო ენის მომხმარებელთა წრე, ამ ენის  
მთელი ისტორიის მანძილზე არაოდეს არ ყოფილა ისე დიდი, როგორც  
ეს არის დღეს; არაოდეს არ ჰქონია ენას ასეთი მრავალფეროვანი გა-  
მოყენება“ (ა. ჩიქობავა).

ჩვენი დედაენა დღეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რეს-  
პუბლიკის ოფიციალური სახელმწიფო ენაა. ამ ენაზე ვითარდება ჩვენი  
კულტურა, ხელოვნება და მეცნიერება, ამ ენაზე მიმდინარეობს ბავშვ-  
თა კომუნისტური აღზრდა-განათლება სკოლასა და ოჯახში, ამ ენაზეა  
დაწერილი ჩვენი რესპუბლიკის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია) და  
წარმოებს სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა.

დიდი ეროვნული საგანძურია ქართული ენის ლექსიკური მარაგი.  
იგი იმდენად უხვია, რომ ქართველ კაცს, თუ კი მოისურვა, არ გაუ-  
ჭირდება მშობლიური სიტყვებით გადმოსცეს ყოველგვარი სათქმელი,  
რაგინდ რთულ აზრსაც არ უნდა შეიცავდეს იგი.

ქართულ განმარტებით ლექსიკონში, რომელიც საქართველოს სსრ  
მეცნიერებათა აკადემიამ 8 ტომად გამოსცა, 113 ათასამდე სიტყვა და  
14 ათასზე მეტი იდიომატური გამოთქმაა აღნუსხულ-განმარტებული.

ქართულ ენაზე დღეს შემუშავებულია მდიდარი ტერმინოლოგია,  
რომლის საფუძველზე ვითარდება ზუსტ და ტექნიკურ მეცნიერებათა  
მრავალრიცხოვანი დარგები.

ჩვენი ინტელიგენცია სოფლად და ქალაქად მშობლიური ლიტერა-  
ტურული ენის ღირსეული მომხმარებელია. ძირითადად ამავე ენაზე  
მეტყველებს ჩვენი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ჩვენი  
მოსწავლე ახალგაზრდობა. მაგრამ ლიტერატურული ენის დაუფლების,



მისი სწორად გამოყენებისა და, საერთოდ, მეტყველების მაღალი კულტურისათვის ბრძოლის ასპარეზზე, სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი შეინიშნება. ჯერ კიდევ ვხვდებით საერთო ლიტერატურული ენის ნორმებიდან გადახვევის მრავალ ფაქტს, კიდევ მოიპოვებიან ისეთი მოქალაქენი, რომლებიც უპასუხისმგებლობას იჩენენ საკუთარი მეტყველების მიმართ, არ ზრუნავენ გამოთქმის კულტურისათვის, სიტყვიერი მარაგის გამდიდრების, გრამატიკული წესების დაცვისა და მართლწერის დაუფლებისათვის. ამგვარი ადამიანების ხელში ენა ჩლუნგ იარაღად არის გადაქცეული, მათ არ ძალუძთ საჯაროდ გამოსვლა და თავიანთი აზრის სწორ ენობრივ ფორმებში ჩამოყალიბება, არ შეუძლიათ ოქმის. განცხადების, ან სხვა საქმის ქალაქის შედგენა, არ აქვთ მკაფიო წარმოთქმა. ისინი თავის მეტყველებას ამღვრევენ არალიტერატურული გამოთქმებითა და სიტყვებით, ე. წ. პროვინციალიზმებით, ანუ დიალექტიზმებით, როგორიცაა: „რას ჩივა აი კაცი?“, „რა გინდებიან“, აქანა, იქინე, რავა, მეიტანე, დოუძანე, ამიზა, მაშვინ, ყაზილარი, ყაძახი, ელანძე, ავიღევი, მოვიტანე, „მეც იქ ვიყა“. დავწერეი, ვწერამ, ვაკეთამ, მაახსენა, შამაუტია, მძვირია და სხვ.

მშობლიური ქართული სიტყვების ნაცვლად ასეთი ადამიანები ხშირობენ უმთავრესად რუსულიდან ან სხვა ენებიდან შემოსულ არასაკირო სიტყვებს, რასაც ბარბარიზმებს ვუწოდებთ; ამათი მაგალითებია: რუჩკა, პერო, კარანდაში, პოლი, პატალოკი, სპიჩკა, სტეკლო, ლამპოჩკა, ფეჩი, პაჩინკა, პარტნოი, ნაბერეჟნი, სკლადი, გუდოკი, პუსტოი, ზანიატი, ოჩერედი, კრახმალი, პადვალი, ოტპუსკი, კამანდროვკა, პრავერკა, პაიოკი, სტალავოი, პერეჩისლენიე, სტანოკი, სმენა, სლესარი, ტოკარი, მაშინა, ტრუბა, ვივესკა, პაეარი...

როგორც ვიცით, ყველა ამ სიტყვას თავისი ქართული შესატყვისი გააჩნია: კალმისტარი, კალამი, ფანქარი, იატაკი, ქერი, ასანთი, მინა, ნათურა, ლუმელი, შეკეთება, მკერავი, სანაპირო, საწყობი, საყვირი, ცარიელი, დაკავებული, რიგი, სახამებელი, სარდაფი, შევებულება, მივლინება, შემოწმება, ულუფა, სასადილო, გადარიცხვა, დაზგა, წყება, ზეინკალი, ხარატი, მანქანა, მილი, აბრა, ხანძარი...

არც ერთ მოლაპარაკეს არ დაჰკირდება საგანგებო შრომისა და ენერჯის დახარჯვა იმისათვის, რომ აქ ჩამოთვლილი ქართული სიტყვები მოიხმაროს თავის ლაპარაკში და აღკვეთოს ზემონაჩვენები ბარბარიზმები, რომლებიც უხეშად ამახინჯებენ ეროვნულ ენას. ამისათვის საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ ენის სიყვარული, მონდომება და პასუხისმგებლობის გრძნობა.

განვიხილოთ ცალკე-ცალკე მშობლიური სწორმეტყველების ძირითადი საკითხები და შევეხოთ თანამედროვე ცხოვრებაში გამოვლენილ იმ

ტიპობრივ გრამატიკულ, ორთოგრაფიულ და სტილისტურ შეცდომებს, წარმოთქმის ნაკლოვანებებს, რომელთა გათვალისწინება დაგვეხმარება ენის კულტურის ამაღლებაში.

### გრამატიკული წუმოვა

ადამიანის მიერ პრაქტიკით შექნილი ცოდნა-გამოცდილების გადმოცემა სიტყვების საშუალებით ხდება, ხოლო სიტყვათა მარაგი, როგორც ითქვა, ცხოვრებისეული სინამდვილის გამოხატულებას წარმოადგენს. ამდენად, დიდია სიტყვათა ფონდის მნიშვნელობა მეტყველების პროცესში. „ჩვენ სიტყვებით ვლაპარაკობთ“ — ეს გამოთქმაც კი საკმარისია იმისათვის, რომ ლექსიკური შემადგენლობა ენის „საშენ მასალად“ ვაღიაროთ.

მაგრამ სიტყვები ცალკ-ცალკე, გაქვევებულ ერთეულებად კი არ მონაწილეობენ ლაპარაკში, არამედ გარკვეული წესებით უკავშირდებიან და ეხამებიან ერთმანეთს.

ცნობილია, რომ ცალკ-ცალკეულად დასახელება სიტყვებისა, როგორც ამას ლექსიკონებში ვხვდებით (ადგომი, ალიონი. არბენა, არჩილი, აღმართი, და), არ ქმნის თავისთავად მეტყველების პროცესს, არ იძლევა დასრულებული აზრის გადმოცემის, მსჯელობის, მტკიცების ან უარყოფის შესაძლებლობას. არ ქმნის წინადადებებს. რომელთა თანაზომიდეურული ცვლა მოგვცემდა საუბრის ანუ ლაპარაკის გაბმულ მდინარებას.

ამ შემთხვევაში სიტყვების გარკვეულ რიგთან, მათ ჩამოთვლასთან გვექნებოდა საქმე. ისინი. მართალია, მიგვითითებენ გარკვეულ მოვლენებზე. საგნებსა თუ ცნებებზე (ალიონი, ახო, ადგომა. აღმართი...), მაგრამ უმოძრაოდ, გაყინულად, ლოგიკური ურთიერთობისა და აზრის მოძრაობის გარეშე. თუ ზემომოყვანილ სიტყვებს სხვანაირად დავალაგებთ, ფორმებს შევუცვლით, ერთმანეთთან წესიერად დავაკავშირებთ და ასე წარმოვთქვამთ: „არჩილი ალიონზე ადგა და აღმართზე აირბინა“, — მაშინ გარკვეული აზრის გამოხატველ წინადადებას მივიღებთ. რომელშიც სიტყვები ერთმანეთთან სათანადო გრამატიკული წესებით არიან შეწყობილ-შეხამებულნი; სხვანაირად არ შეიძლება. არ შეიძლება, მაგალითად, სიტყვები ასე შეკავშირდეს:

არჩილმა ადგა, არჩილი ადექი, არჩილი არბენა და სხვ.

საკუთარ სახელს „არჩილი“, რომელიც აქ ქვემდებარეა, შემასმენელად ზმნის პირიანი ფორმა უნდა შეეწყოს, ამასთანავე მესამე პირში, ხოლო იმ ტიპის ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან, როგორიცაა

„ადგა“, ქვემდებარე აუცილებლად სახელობით ბრუნვაში უნდა იდგეს, და ა. შ.

სიტყვათა ურთიერთდამოკიდებულების ასეთი წესები მრავალია; ამ წესების სისტემას ხინტაქსი სწავლობს, თვით სიტყვათა აგებულება ფორმის მიხედვით, სიტყვის ფორმაცვალებადობის წესები კი მორფოლოგიის შესწავლის საგანს შეადგენს.

ორივე ეს საენათმეცნიერო დარგი, მორფოლოგია და სინტაქსი, გაერთიანებულია გრამატიკის სახელწოდებით.

ცნობილია, რომ ახალი ენის შესწავლას ადამიანი ვერ ახერხებს მარტოოდენ შესასწავლი ენის სიტყვიერი მარაგის დასწავლით. რაც არ უნდა ბევრი სიტყვა დაიმახსოვროს, ადამიანი ახალ ენაზე ვერასგზით ვერ ალაპარაკდება, თუ ამასთანავე ერთად არ დაეუფლა გრამატიკული წესების იმ მინიმუმს, რომლის საფუძველზე მან უნდა შეძლოს გამოიყენოს დასწავლილი სიტყვები წინადადებათა ასაგებად.

ამგვარად, სიტყვებთან ერთად ენას ქმნის გრამატიკული წყობაც, როგორც არსებითი მხარე მეტყველებისა, უიმისოდ მეტყველების პროცესი სიტყვათა ქაოტურ გროვად წარმოგვიდგებოდა.

ლექსიკური შემადგენლობა და გრამატიკული წყობა — აი, ენის ორი უმნიშვნელოვანესი მხარე, რომლებიც, ერთად აღებული, ჰქმნიან ენის საფუძველს.

გრამატიკული წყობა უფრო მყარი და ნაკლებ ცვალებადია, ვიდრე ლექსიკური შემადგენლობა. ამის მიუხედავად, გარკვეული ენის გრამატიკულ ფორმათა სისტემა მაინც იცვლება, თუმცა შედარებით ნელა და თანდათანობით, მაგრამ ზოგჯერ ძირეულადაც. ამის საილუსტრაციოდ გამოგვადგებოდა თანამედროვე ქართულის შედარება ძველთან.

ძველ ქართულში ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითი ბრუნვის ნიშნად გამოყენებული იყო ნახევარხმოვანი *ჲ* (ზეჲ, მთაჲ, ციხეჲ, დედაჲ). დღევანდელ სამწერლო ენაში იგი აღარ გვხვდება. დაიკარგა აგრეთვე კითხვითი ნაწილაკი *ა* კითხვით წინადადებაში (მაგალითად: „არა მისი გაზრდილი ხარა?“; „დაუტევაა ადგილი ეგე?“); მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი ძველად იყო ნაცვალსახელური სუფიქსი მან (კაცმან, სოფელმან...), დღეს კი არის მა (კაცმა, სოფელმა); წარსული დროის ერთერთ სახეს ძველ ქართულში წარმოადგენდა ნამყო მრავალგზისი, რომელიც სისტემატურად განმეორებულ მოქმედებას აღნიშნავდა (მოიტანდის, აიღებდის, ესმოდის); თანხმოვანფუძიან სახელებს ფუძის კუმშვა ნაკლებად ახასიათებდა, რის გამო ჩვეულებრივი იყო ასეთი ფორმები: სოფელისა, ხმალისა, ჯვარისა, წამალისა; დღეს კი ყველა ამ სახელს ფუძე ეკუმშება (წამლის, წამლად. წამლით; სოფლის, ხმლის, ჯვრის)...

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სალიტერატურო ენის გრამატიკული და ფონეტიკური წყობა უფრო დახვეწილი, მყარი და გამძლეა, ვიდრე კუთხური (დიალექტური) მეტყველებისა და ეს სავსებით გასაგებია: დიალექტები ზეპირი, სასაუბრო ენაა, სამწერლო ენა კი ზეპირთან ერთად წერილობითიცაა, ხოლო წერილობითი მეტყველება კონსერვატიულია, მრავალი თაობის მონაწილეობით შექმნილი მისი ფორმები ნორმატულია, მათ მოხმარებას კონტროლი ეწევა და ისინი ადვილად არ ექვემდებარებიან კერძო პირების ნება-სურვილს. აქედან გასაგებია, რომ ენობრივი ფორმების შეცვლა ჯერ სასაუბრო მეტყველებაში, ზეპირ წარმოთქმაში იჩენს თავს და იქ იმ დრომდე განაგრძობს არსებობას, ვიდრე ბოლოს სამწერლო ენაზეც არ ახდენს გავლენას და არ მკვიდრდება მის წიაღში, როგორც ახალი, კანონიერი მოვლენა, გააძევებს რა ძველ ფორმებს.

| დღეს მართებულად მიჩნეული სიტყვების — შიმშილის, შიში, ძველი სწორი გრამატიკული სახეა სიმშილი, სიში, სადაც სი- ისეთივე თავსართი იყო, როგორც ამ სიტყვებში: სი-რცხვილი, სი-რბილი, სი-კვდილი... მაგრამ წარმოთქმის პროცესში ბგერათა სრული დამსგავსების (ასიმილაციის) შედეგად ხსენებულ სიტყვებში ს ბგერა შ-დ იქცა და გაჩნდა ზემოხსენებული შიმშილი, შიში.

ამ ცვლილებების მიუხედავად, მწერლობაში კიდევ დიდხანს სიმშილი იხმარებოდა, ვიდრე სულ უკანასკნელ ხანებში მის ნაცვლად კანონიერად არ იქნა აღიარებული შიმშილი. იგი გამოცხადდა მართებულ ორთოგრაფიულ ნორმად და ამით მოიშალა სხვაობა, რომელიც არსებობდა ამ სიტყვის წარმოთქმასა და დაწერას შორის.

-გან თანდებული ძველად მოქმედებითი ბრუნვის ფორმას ერთვოდა და გვექონდა ასე: სახლითგან, სოფლითგან. დროთა განმავლობაში გამჟღერების საფუძველზე თ თანხმოვანი დაემსგავსა გ-ს (სახლიდგან). შემდეგ ეს უკანასკნელი სულ დაიკარგა და ითგან ბგერათკომპლექსმა მოგვეცა იდან. დღეს ნორმალურად მიგვაჩნია სახლიდან, სოფლიდან, ქალაქიდან. მაგრამ უახლოეს წარსულში ორთოგრაფიულ ნორმად კიდევ კარგა ხანს ითვლებოდა მათი პირვანდელი ამოსავალი სახე (სოფლიდგან...), ვიდრე წერილობით მეტყველებაში მთლიანად არ გაბატონდა მითითებული ფონეტიკური ცვლილებებით მიღებული დან, როგორც დამოუკიდებელი თანდებული და არ გააძევა თავისი პირველსახე.

ჩვენ გრამატიკულ ფორმათა ცვლის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა დავსახელებთ. ასეთი მოვლენები კი ენაში უამრავია. მათი უწყვეტი მოქმედების შედეგად დროთა განმავლობაში ჩნდება განსხვავება წარმოთქმასა და წერას შორის. ეს არის ერთგვარი წინააღმდეგობა სწრაფად ცვალებად ზეპირ სიტყვასა და ტრადიციით განმტკიცებულ წერიით

მეტყველების ნორმებს შორის, რის დასაძლევადაც სალიტერატურო ენის განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე საჭირო ხდება გრამატიკული ნორმების გადასინჯვა, მათი შეცვლა და რეგულაცია იმ მიზნით, რომ ისინი შეფარდებულ იქნენ ენაში მომხდარ ცვლილებებთან. ეს საჭიროება თვით ენის ბუნებიდან გამომდინარეობს.

საუკუნეთა განმავლობაში მეტ-ნაკლები ტემპით იცვლება ენის ყველა რგოლი, ყველა მხარე (ლექსიკური, ფონეტიკური და გრამატიკული). ზეპირ სიტყვასთან ერთად იცვლება, რასაკვირველია, წერიტი მეტყველებაც, მაგრამ მისი ცვლილება შედეგია ზეპირმეტყველებაში მომხდარი ცვლილებებისა. უკვე აღინიშნა, რომ შესამჩნევი ენობრივი ცვლილებანი ჯერ ზეპირ თქმაში ხდება და შემდეგ, არა ერთბაშად, არამედ საკმაო დაყოვნებით, აისახება წერიტი მეტყველებაშიც. ამის (დაყოვნების) მიზეზი ის არის, რომ ადამიანის ლაპარაკი (ზეპირი სიტყვა) შედარებით შეუზღუდველი და თავისუფალია, ხოლო წერიტი მეტყველება გარკვეულ ჩარჩოშია მოქცეული, სათქმელი მტკიცედ არის ფიქსირებული.

ის, რაც და როგორც დაიწერა, შენახულ იქნა, ტრადიციად და ნორმად იქცა. ასე რომ ზეპირი სიტყვა ცვალებადობის მხრივ წინ უსწრებს წერილისიტყვას.

ზეპირ მეტყველებაში, პირველყოვლისა, ხდება ბგერითი (ფონეტიკური) ცვლილებანი, სიტყვებში თავმოყრილი ბგერები წარმოთქმისას განიცდიან ურთიერთგავლენას. ამ საუუძველზე თავს იჩენს ე. წ. ბგერითი მოვლენები (ბგერათშენაცვლება, გადასმა, დაკარგვა, შერწყმა, ასიმილაცია, დისიმილაცია, ანალოგია და სხვა), სიტყვები იცვლიან სახეს. წერა კი ამ ცვლილებებს ერთხანს ანგარიშს არ უწყევს, მასში მოქმედებს ძველებური წესები, რის გამო ჩნდება შეუსაბამობა ნაწერსა და ნათქვამს შორის. რუსულში წარმოითქმის *малако, ево, всево, всёю, града, фамилья...* მაგრამ იწერება: *молоко, его, всего, всё, города, фамилия...*

უფრო მეტად არის დაშორებული წარმოთქმა და დაწერილობა ინგლისურში, გერმანულში, ფრანგულსა და სხვა ენებში.

არსებობს აზრი, რომლის მიხედვით, რაც უფრო ხანგრძლივი ტრადიციის მწერლობა აქვს რომელიმე ერს, თითქოს მით უფრო რთულია მისი ენის ორთოგრაფია. მაგრამ ეს ყოველთვის როდი მართლდება; ამის მაგალითია ქართული ენა. ქართული ორთოგრაფია, მიუხედავად მისი სიძველისა, შედარებით მარტივია და ეს დიდი ღირსება და უპირატესობაა პრაქტიკული თვალსაზრისით: ქართულად იწერება ისე, როგორც წარმოითქმის, ან პირიქით: იკითხება ისე, როგორც იწერება.

აქ „ყოველ საინტეგრაციო ბგერას საკუთარი ასო შეეფერება, ხოლო ყოველ ასოს ერთი მნიშვნელობა აქვს.“ (ლ. კვაკაძე).

ამ გარემოებას მეცხიერები იმით ხსნიან, რომ ქართული ენა, მიუხედავად თავისი ხანგრძლივი ისტორიისა, ფონეტიკურად (და საერთოდ. ლექსიკურ-გრამატიკულადაც) უფრო ნაკლებად არის შეცვლილი, ვიდრე სხვა ენები (მაგალითად, ბერძნული, სპარსული, რუსული, სომხური. ფრანგული, ინგლისური).

მაშასადამე, ორთოგრაფიის სირთულე, რაც უდაოდ სამეტყველო პროცესის დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს, ენის სიძველით, მისი წარსულის ხანგრძლიობით კი არ უნდა აიხსნას, არამედ ენობრივი ცვალებადობის ხარისხით.

როგორც ითქვა, ქართულ წერა-კითხვას ფონეტიკური პრინციპი უდევს საფუძვლად, რის გამო წარმოთქმასა და წერას შორის შეფარდების მხრივ აქ უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე სხვა ენებში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ქართულად ნაწერი აბსოლუტურად უდრიდეს და ემთხვეოდეს წარმოთქმულს. ეს არც შეიძლება მოხდეს, თუნდაც იმის გამო, რომ ასოები მხოლოდ პირობითი ნიშნებია სამეტყველო ბგერებისა და წარმოთქმის ყველა ნაირობის გამოხატვას ანბანის საშუალებით წერაში ვერც შევძლებთ და არც საკიროა.

მაშ, ქართულშიც არსებობს განსხვავება წერასა და გამოთქმას შორის, მაგრამ არა ისეთი ღრმა და მკვეთრი, როგორც სხვა ენებში.

დავასახელოთ სიტყვები, რომელთა წარმოთქმასა და დაწერილობას შორის არ არის თანხვედნილობა, ე. ი. ერთნაირად წარმოთქმის და მეორენაირად იწერება:

წ ა რ მ ო ი თ ქ მ ი ს :

ი წ ე რ ე ბ ა :

მიზღვეს

მისღვეს

ქქონდა

გქონდა

დაუძახე (მე)

დაუვძახე (მე)

სახში, სახთან

სახლში, სახლთან

ბახში, ბახთან

ბალში, ბალთან

გვერძე

გვერდზე

მზგავსი

მსგავსი

აქეტკენ

აქეთკენ

მაგალითების ამ ორი რიგიდან ორთოგრაფიული ნორმის ძალა მეორე რიგში ნაჩვენებ ნიმუშებს აქვს. მათი ისე დაწერა, როგორც წარმოთქმის (თანახმად პირველი რიგისა). დიდ შეცდომად ითვლება.

მაგრამ რატომ არ გაიკათა გზა ნაწერებშიც პირველი რიგის ფაქ-

ტეზისა, ე. ი. რატომ არ განსტკიცდა წერაში წარმოთქმისი სახე ნ.ძირ-  
ვლილი სიტყვებისა?

მიიტომ, რომ წერილობით ვარიანტებში თავიდანვე ასახულია გრა-  
მატიკული, ამ შემთხვევაში, მორფოლოგიური სახე სიტყვებისა, მათში  
დაცულია ენაში მოქმედი გრამატიკული წესები, სახელდობრ, ის, რომ  
III ობიექტური პირის ნიშანი არის თავსართი ს (მი-სდეეს); II პირის  
ობიექტის ნიშანი ყოველთვის არის გ (გ-ქონდა შენ) და არა ქ, რომე-  
ლიც წარმოთქმაში წარმოიშვა ფუძისეული ქ-ს დამსგავსების შედეგად,  
სწორედ ამ გ-ს ფონეტიკური სახეცვლის (დაყრუების) შედეგად; პირ-  
ველი პირის სუბიექტის ნიშანი არის ვ თავსართი (დავუძახე მე); თანდე-  
ბულები -ში და -თან ერთვის სახელთა სრულ ფუძეს (სახლ-, ბაღ-), რო-  
მელსაც ჩამოცილებული აქვს მიცემითი ბრუნვის ნიშანი. (ძველად  
იყო: სახლ-ს-ში, ბაღ-ს-ში); -კენ თანდებული ერთვის სიტყვას აქეთ  
(აქეთ + კენ) და არ არსებობს მისი ნაცვალი აქეთ.

ამ მცირე მიმოხილვიდან ნათელია, რომ წარმოთქმისაგან საკმაოდ  
განსხვავებული ფორმები სიტყვებისა სწორია მორფოლოგიური თვალ-  
საზრისით, წერაში ისინი შემოინახა სწორედ ამ თვალსაზრისმა. მორ-  
ფოლოგიური წესების დაცვამ განამტკიცა და დაიცვა ორთოგრაფია.  
ამიტომ ამ პრინციპს ორთოგრაფიაში მორფოლოგიური პრინციპი  
ეწოდება.

მაგრამ ეს პრინციპი ყოველთვის როდი იმარჯვებს. დროთა განმავ-  
ლობაში ფონეტიკას თავისი გააქვს და წარმოთქმითი ფორმები იქცევა  
ორთოგრაფიულ ნორმებად. არღვევს დაწერილობის მორფოლოგი-  
ურ პრინციპს. ამ შემთხვევაში მეტყველების წარმოთქმითი მხარე აძლი-  
ერებს თავის მოქმედებას და თავს იჩენს ორთოგრაფიის აგების ფონე-  
ტიკური პრინციპი, რომლის თანახმად სიტყვა უნდა იწერებოდეს ისე,  
როგორც წარმოთქმის.

ქართული წერა, როგორც ვიცით. ძირითადად ამ ფონეტიკურ პრინ-  
ციპს ემყარება, სიტყვათა უმრავლესობა ქართულში წერილობით ისე  
გამოიხატება, როგორც ვამბობთ (დედა, მამა, მიწა, ხმა. ოთახი. ჭარი  
და სხვ.). ამ პრინციპის მოქმედება შეიძლება წარმოვიდგინოთ სათანადო  
მაგალითების ჩვენებით:

წარმოთქმის მიხედვით  
ორთოგრაფიულ ნორმად  
ქცეული სიტყვებია:

თაობა  
მეთაური  
თაოსანი

მორფოლოგიური პრინციპის  
დაცვით უნდა ყოფილიყო:

თავობა  
მეთავური  
თავოსანი

ტყაოსანი  
 აქტიური  
 შიმშილი  
 თვრამეტი  
 ცარიელი  
 ბეჩავი

ტყაოსანი  
 აქტიური  
 სიმშილი  
 თრვამეტი (ათრვამეტი)  
 ცალიერი  
 ბედშავი

სხვა შემთხვევებში სიტყვების დაწერილობა დაშორებულია წარმოთქმისაგან იმის გამო, რომ დაცულია ამ სიტყვის ძველი, ისტორიულად არსებული სახე, მისი ბგერითი შედგენილობა, თუმცა დღეს არც ფონეტიკურად და არც მორფოლოგიურად ეს სახე გამართლებული არ არის, აქ მოქმედებს ორთოგრაფიის ისტორიული (ტრადიციული) პრინციპი.

ამის მიხედვით იწერება სიტყვა მსგავსი, თუმცა ყოველთვის ისმის როგორც „მზგავსი“. ამავე პრინციპის დაცვით არის დღეს ნორმად მიღებული ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება — ად, დ (მაგალითად, ძმად, დედად, კარგად, ყოჩაღად, მეორედ, მესამედ, ტყედ, უგზოდ, უხმოდ და სხვ.), იმ დროს, როდესაც დ-ს ნაცვლად ყოველთვის ისმის თ და ასე შემდეგ.

ზოგჯერ წარმოთქმისაგან დაშორებულ სიტყვას წერაში ვიცავთ იმის გამო, რომ არ დაირღვეს და არ დაზიანდეს სიტყვის ძირითადი ნაწილი, ფუძე ან ძირი, რომელიც მნიშვნელობის მატარებელია. ამ დროს ჩვენ ვხელმძღვანელობთ, ასე ვთქვათ, ხემანტიკური პრინციპით. ჩვენ ვწერთ მრთბშლი, მიუხედავად იმისა, რომ გამოვთქვამთ მრდბშლი იმიტომ, რომ ვიცით, მასში გაერთიანებულია ორი ფუძე (ძირი) ერთ და გულ, და; რომ მათი შეერთება გვაძლევს გარკვეულ მნიშვნელობას (ერთგული და არა ორგული), ამგვარად:

ვ წ ე რ თ:

ოცდასამი

ვაჟკაცი

ხელმძღვანელი

ახალგაზრდა

მხატვრული

ვაშლს, ვაშლზე

ზედსართავი

წ ა რ მ ო ვ თ ქ ვ ა მ თ :

ოზდასამი

ვაშკაცი

ხემძღვანელი

ახალგაზრდა

მხატვრული

ვაშს, ვაშზე

ზეთსართავი



თანამედროვე ქართული ლიტერატურული ენის გრამატიკული წყობა მტკიცედ ჩამოყალიბებულ წესებს ემყარება. სიმლიდრისა და მოქნი-



ლობის მხრივ მან უდიდეს წარმატებას მიაღწია. ჩვენი ენის ფორმათა სრულქმნა-ჩამოყალიბება გაპირობებულია ეროვნული მწერლობის განვითარებით, ჩვენი მეცნიერების, ხელოვნების აღმავლობით. მაგრამ ქართული ენის ზრდა-განვითარებამ ბევრი მტკივნეული და სადავო საკითხიც დააყენა.

გრამატიკულ ფორმათა ნორმალიზაციისა და სწორმეტყველების დანერგვა-განმტკიცების მხრივ ჩვენში ბევრი რამ გაკეთდა და დღესაც კეთდება. ამის მიუხედავად, ჩვენს წარმოთქმასა და წერილობით მეტყველებაში კიდევ მრავალი ნაკლი შეინიშნება.

შევხებით გრამატიკული მინიმუმის დარღვევის ზოგიერთ შემთხვევას, დაშვებულთ ზეპირი მეტყველებიან დროს; ისინი შესაბამისად ასახულია წერილობით მეტყველებაშიც.

კ უ მ შ ვ ა დ ო ბ ა. დღევანდელ სალიტერატურო ენაში, ძველი ქართულისაგან განსხვავებით, საკმაოდ გავრცელებულია სახელთა ფუძის კუმშვა ნათესაობით, მოქმედებითა და ვითარებით ბრუნვებში, უფრო მაშინ, თუ ბოლოში ასეთი ბგერათკომპლექსებია: -აღ, -ელ; -ან, -ენ; -არ, ერ; -ამ, -ემ; -ავ; -ოღ; -ონ; -ორ (ძვალი, სოფელი. მხარა. მტერი, გუთანი, ბერძენი, კარაეი. ატამი და მისთ. იბ. აკ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953 წ., გვ. 27).

ჩვენი პრესისა და წიგნის ენაში ბოლო ხანებში ზოგჯერ ავიწყდებათ და ანგარიშს აღარ უწევენ სახელთა ფუძეკუმშვადობის ამ წესს და კუმშვადფუძიან სახელებს უკუმშველად წარმოგვიდგენენ.

ამის ნიმუშებია:

მაჩაბელის ქუჩა, წერეთლის პოეზია, ცაგარელის პიესები, „ცხელი შადრევანის სიკეთე“, ჯვარის მონასტერი, „ქარიშხლის უფოთი“, „ყავარჯენის სიმაგრე“, დილომის ველი, ნადიკვარის გადასახედი, ნატახტარის წყალი, წინანდალის ღვინო, ხოლაშენის შიდამოები, „რთველის პირველი დღეები“.

ცხადია, ყველგან უნდა იყოს მხოლოდ ასე:

მაჩაბლის, წერეთლის, ცაგარლის, შადრევნის, ჯვარის, ქარიშხლის, ყავარჯენის, დილომის, ნადიკვარის, ნატახტარის, წინანდლის, ხოლაშენის, რთვლის და ა. შ.

შეკუმშული ფუძე უნდა განმეორდეს მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებშიც (შადრევნებით, შადრევნად), აგრეთვე ებ-იანი მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში (შადრევნები, შადრევნებმა, შადრევნებს და ა. შ.).

კუმშვის კერძობით შემთხვევად უნდა ჩაითვალოს ის თავისებური სახეცვლა, რაც განუცდიათ სახელებს — აშხაფი (ნათესაობით; ვითარებ-

ბით და მოქმედებით ბრუნვებში) და ღმერთი (ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში). ეს მოვლენა კარგა ხანია განმტკიცდა ახალ ქართულში და მაინც ბოლო ხანებში ხშირად შეცდომით ამბობენ და წერენ: ამბავის, ამბავად, ამბავით (მაგალითად: „ამ უბრალო ამბავიდან ა. ბელიაშვილმა შექმნა მთელი ნაწარმოები“); ღმერთის, ღმერთით (მაგალითად: „ღმერთის რწმენას საფუძველი გამოეცალა“; „ღმერთის წყალობით კი არ გაუმარჯვიათ...“ „ღმერთით კარგად იყვენენ“). უნდა იყოს ამბის, ამბად, ამბით; ღვთის, ღვთით.

პირველ შემთხვევაში ფუძეს დაკარგული აქვს ბოლო ნაწილი -ავ. მეორე შემთხვევაში შუა ნაწილი ერ და თანაც მ თანხმომიანი შენაცვლებულია ვ-ინით. ეს ფონეტიკური პროცესი შემდეგნაირად გვესახება: ღმერთის → ღმრთის → ღმთის → ღვთის.

კ ვ ე ც ა დ ო ბ ა . ცნობილია, რომ ე-სა და ა-ზე დაბოლოებული საზოგადო და აგრეთვე გეოგრაფიულ სახელთა ფუძეები ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში იკვეცება (ღედა — ღედის, ციხე — ციხის, განჯა — განჯის, საჩხერე — საჩხერის); ეს არის თანამედროვე ქართულის გრამატიკული წესი, მაგრამ უკანასკნელ ხანებში შესამჩნევია ამ წესის დარღვევა.

ამბობენ და წერენ: ნიჟარას საფერფლე, უნდა იყოს ნიჟარის; მატინანეს ფურცლები (უ. ი. მატინანის); „ლამარას საქმროს ქება ასმინეს, ვაჟას — საცოლდისი“. (უნდა იყოს საცოლდისა); „ვიოლონოს ქამანჩა სახრეს ნაცვლად მიაწოდა მეველეს“. (უნდა იყოს სახრის).

„გვისზმრება ჭაბუკი მთრთოლვარე ბაგეთი.“ (უნდა იყოს ბაგეთი);

„წყნარი ოკეანეს ნაპირებზე“. (უნდა იყოს ოკეანის);

„რიწას ტბა მდიდარია კალმახითა და ორაგულით“. (უნდა იყოს რიწის ტბა).

უკვეცვლად არის წარმოდგენილი სხვა გეოგრაფიული სახელებიც იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი გენეტიურ (მართულ) მსაზღვრელად გვევლინებიან, როგორც მაგალითად: ძამას ხეობა, წუნდას ტბა, ნიალას ველი, ოჩამჩირეს საბჭო, საირმეს წყალი, უდეს კოლმეურნეობა, ლეზარდეს წყალი, ვალეს ქვანახშირი.....

ამათი მართებული ფორმებია: ძამის ხეობა, წუნდის ტბა, ნიალის ველი, ოჩამჩირის საბჭო, საირმის წყალი, უდის კოლმეურნეობა, ლეზარდის წყალი, ვალის ქვანახშირი...

ს ა კ უ თ ა რ ს ა ხ ე ლ თ ა ბ რ უ ნ ე ბ ი დ ა ნ . ადამიანის საკუთარი სახელებისა და გვარების (ან თანამდებობა-წოდების სახელების) ერთად ბრუნების დროს უნდა ვიცოდეთ, რომ ქართულში სახელს ჩვეულებრივ პირველი ადგილი უჭირავს, წარმოდგენილია ყველა ბრუნვაში ფუძის სახით და ბრუნვის ნიშნებს მხოლოდ მომდევნო სიტყვა,

ე. ი. გვარი (თანამდებობა-წოდების სახელი) ირთავს. მაგალითად: დავით გურამიშვილი, დავით გურამიშვილმა, დავით გურამიშვილს და ა. შ.; ვახტანგ მეფე, ვახტანგ მეფეს და სხვ.

ხშირად ლაპარაკში არასწორი წყობით ხმარობენ სახელსა და გვარს. მაგალითად, ამბობენ: სიხარულიძე ნელის უთქვამს, სიხარულიძე ნელიმ იცის. უნდა ითქვას: ნელი სიხარულიძეს უთქვამს, ნელი სიხარულიძემ იცის.

ამასთან დაკავშირებულია კიდევ ერთი საკითხიც: საკუთარი სახელის ბრუნების დროს ზოგჯერ შეცდომას უშვებენ: თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელებს, როგორცაა ოთარი, ნოდარი, ვახტანგი, ეთერი, თამარი... მოთხრობით და მიცემით ბრუნებებში ისე წარმოგვიდგენენ, როგორც ი-ზე დაბოლოებულ საკუთარ სახელებს, რომელთა ნიმუშებია: გიორგი, დიმიტრი, აკაკი, დომენტი, ავქსენტი და სხვ. მოთხრობით და მიცემით ბრუნებებში ეს სახელები ასე იქნება: აკაკიმ, აკაკის; გიორგიმ, გიორგის... მათი ანალოგიით პირველი რიგის სახელებსაც ასეთი ფორმით გვაწვდიან: ოთარიმ, ოთარის; ნოდარიმ, ნოდარის; ვახტანგიმ, ვახტანგის.....

ეს ფორმები არაა სწორი, უნდა იყოს: ოთარმა, ოთარს; ნოდარმა, ნოდარს; ვახტანგმა, ვახტანგს.....

იმის გამოსარკვევად, თუ ეს ი ხმოვანი რომელ საკუთარ სახელში შედის ფუძის ხმოვანად და ამის გამო რომელ სახელს ჰქირდება მისი შენარჩუნება მოთხრობითსა და მიცემით ბრუნებებში, უნდა დავაკვირდეთ სახელისა და გვარის წყვილულს. ქართულში სახელი წინ უსწრებს გვარს და ყველა ბრუნვაში ფუძის სახით არის წარმოდგენილი. თუ ასეთ წყვილულებს ავიღებთ სახელობით ბრუნვაში, ი-ზე დაბოლოებული სახელი ხმოვანფუძიანი იქნება, მაგალითად: აკაკი წერეთელი; ირაკლი გამრეკელი და ფუძისეული ი ამ სახელებს მოთხრობითსა და მიცემით ბრუნებებშიც გადაჰყვება (აკაკიმ, ირაკლიმ), ხოლო თუ სახელობით ბრუნვაში გვარის წინ საკუთარ სახელს ი არ აქვს და ფუძით არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარი სახელი თანხმოვანფუძიანია და მოთხრობითსა და მიცემით ბრუნებებში მათ არ ჰქირდებათ ი-ს დართვა, ასეთებია: დავით გურამიშვილი, ვახტანგ ორბელიანი, ნოდარ გურუშიძე და სხვა (ხმოვან და თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელთა ნიმუშები მრავლად არის წარმოდგენილი გ. შალამბერიძის წიგნში „ქართული მართლწერა“, 1961 წ., გვ. 12 -- 13).

ე მ ფ ა ტ ი კ უ რ ი ა. ხშირად ავიწყლებათ, რომ შერწყმულ წინადადებაში ერთნაირი წევრების დაკავშირებისას საჭიროა ა ემფატიკური ნაწილაკის ანუ საერცობის ხმარება მიცემით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნებებში. წერენ, მაგალითად, ასე:

## მ ი ც ე მ ი თ ბ რ უ ნ ვ ა შ ი :

1. მოსწავლეებს და სტუდენტებს მოეყარათ თავი.
2. ქალაქს და სოფელს შორის განსხვავება უკვე ისპობა.
3. დელეგაცია ესტუმრა საქართველოს მთავარ ქალაქებს: თბილისს, ქუთაისს, ბათუმს, სოხუმს, გორს და ცხინვალს.

## ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ბ რ უ ნ ვ ა შ ი :

1. რადიომიმღების და ტელევიზორის ხმა არავის გამოჰპარვია.
2. უნდა ვიცოდეთ ქუჩაში მოძრაობის და სიარულის წესები.
3. მას ერთბაშად მოუხდა ქუჩების, გზატკეცილების, საურმე გზების და ბილიკების გავლა.

## მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ბ რ უ ნ ვ ა შ ი :

1. ეზო სავსე იყო მოსწავლეებით და სტუდენტებით.
2. ერთნაირი მუყაითობით, გატაცებით და ენერგიით მუშაობდა.
3. დიდი სიამოვნებით და მოწიწებით დამეთანხმა.

უ ნ დ ა ი ყ ო ს :

## მ ი ც ე მ ი თ ბ რ უ ნ ვ ა შ ი :

1. მოსწავლეებსა და სტუდენტებს მოეყარათ თავი.
2. ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავება უკვე ისპობა.
3. დელეგაცია ესტუმრა საქართველოს მთავარ ქალაქებს: თბილისს, ქუთაისს, ბათუმს, სოხუმს, გორსა და ცხინვალს.

## ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ბ რ უ ნ ვ ა შ ი :

1. რადიომიმღებისა და ტელევიზორის ხმა არავის გამოჰპარვია.
2. უნდა ვიცოდეთ ქუჩაში მოძრაობისა და სიარულის წესები.
3. მას ერთბაშად მოუხდა ქუჩების, გზატკეცილების, საურმე გზებისა და ბილიკების გავლა.

## მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ბ რ უ ნ ვ ა შ ი :

1. ეზო სავსე იყო მოსწავლეებითა და სტუდენტებით.
2. ერთნაირი მუყაითობით, გატაცებითა და ენერგიით მუშაობდა.
3. დიდი სიამოვნებითა და მოწიწებით დამეთანხმა.

შერწყმულ წინადადებაში, სადაც ერთნაირ წევრებად თანდებულიანი სიტყვები გამოდის (გარემოებანი, ან უბრალო დამატებანი), ტავ-

ტოლოგის თავიდახ ასაცილებლად სალიტერატურო ეხას გ. შორჭუაგე-  
ბული აქვს წესი, რომლის თანახმად და კავშირის წინამდებარე სიტყვას  
მოსალოდნელი თანდებული ეხსნება და იგი გავრცობილი სახით სათა-  
ნადო ბრუნვაში დგება. ასე, მაგალითად, უნდა ითქვას: მოსწავლემ  
წერასა და ზეპირში ერთნაირი ნიშანი მიიღო და არა: მოსწავლემ წერა-  
ში და ზეპირში ერთნაირი ნიშანი მიიღო. ავიწყდებათ რა ეს წესი,  
ზოგჯერ — ა მ ბ ო ბ ე ნ და წ ე რ ე ნ :

გოგი ყოველთვის ერთნაირი მუყაითობით მუშაობდა სტამბაში და  
რედაქციაში.

ადვილი არ იყო ყოველ სოფელში, ქალაქში, სადგურში და სხვა  
დასახლებულ პუნქტში შესვლა.

თვალი შეავლო ხეებზე, კედლებზე, ღობეებზე და სახურავებზე აცო-  
ცბულ ადამიანებს.

მაღალი მაჩვენებლებისათვის და კარგი ყოფა-ქცევისათვის დააჯილ-  
დოვებს.

უ ნ დ ა ი ყ ო ს :

გოგი ყოველთვის ერთნაირი მუყაითობით მუშაობდა სტამბასა და  
რედაქციაში.

ადვილი არ იყო ყველა სოფელში, ქალაქში, სადგურსა და სხვა  
დასახლებულ პუნქტში შესვლა.

თვალი შეავლო ხეებზე, კედლებზე, ღობეებსა და სახურავებზე აცო-  
ცბულ ადამიანებს.

მაღალი მაჩვენებლებისა და კარგი ყოფა-ქცევისათვის დააჯილდო-  
ვებს.

ს ა ხ ე ლ ა დ ი ნ ა წ ი ლ ი და მ ე შ ვ ე ლ ი ზ მ ნ ა. შედგენი-  
ლი შემასმენლის სახელადი ნაწილი, თუ ის მიმღეობით ან ზედსართავი  
სახელით არის გადმოცემული, მრავლობითში დასმულ მეშველ ზმნას  
რიცხვში არ ეთანხმება. (მრავლობითში მისი დასმა შეცდომაა).

ა რ ა ა ს წ ო რ ი :

თქვენ მართლები ხართ.

თქვენ თავისუფლები ხართ.

ისინი დაბინავებულებიც იქნებიან.

ისინი გაწითლებულები იყვნენ.

ჩვენ გაანჩხლებულები ვიყავით.

უ ნ დ ა ი ყ ო ს :

თქვენ მართალი ხართ.

თქვენ თავისუფალი ხართ.

ისისი დაბინავებული იქნებიან.  
ისინი გაწითლებული იყვნენ.  
ჩვენ გაანჩხლებული ვიყავით.  
დასაშვებია სახელადი ნაწილის შეთანხმება მეშველ ზმხასთან ნარი-  
ანი მრავლობითის ფორმაში, მაგალითად, ასე:  
თქვენ მართალნი ხართ.  
თქვენ თავისუფალნი ხართ.  
ისინი დაბინავებულნიც იქნებიან.  
ისინი გაწითლებულნიც იყვნენ.  
ჩვენ გაანჩხლებულნი ვიყავით.



გვსურს აქვე წარმოვადგინოთ ბოლო ხანებში ფეხმოკიდებული სინ-  
ტაქსურ-სტილისტური ხასიათის უმართებულო გამოთქმათა რამდენიმე  
ნიმუში:

„პოლიციამ მოახდინა დაპატიმრებანი“. აქ „მოახდინა“ ზედმეტია,  
უნდა ითქვას: პოლიციამ დააპატიმრა.

„გადაღებული პარტიის დამთავრება გაიმართება დღეს“. აქაც ზედ-  
მეტად გამოიყურება ზმნა „გაიმართება“. უკეთესად ასე გამოითქმება:  
გადაღებული პარტია დღეს დამთავრდება.

გავრცელდა რთულად გადმოცემული დროის გარემოება: „მიმდინა-  
რე პერიოდში“, „დღევანდელ დღეს“, „ამ საათში“, იმის ნაცვლად, რომ  
მოკლედ ვთქვათ: ახლა, აშუამად.

ბევრის ნაცვლად ხშირად ისმის კანცელარული შტამპით აღბეჭდი-  
ლი „დიდი რაოდენობით“; ამგვარივე ხასიათისაა ის გამოთქმები, სადაც  
უპირო ზმნას (საწყისს) წინ უძღვის შაბლონური „ა დ გ ი ლ ი ა ქ ვ ს“:  
„ადგილი აქვს დისციპლინის დარღვევას“, „ადგილი აქვს მოსწავლეთა  
გაცდენებს“, იმ დროს, როცა უკეთესია ზმნის პირიანი ფორმები გამო-  
ვიყენოთ და უბრალოდ ვთქვათ: დისციპლინა ირღვევა, მოსწავლეებო  
აცდენენ. (ენობრივი შტამპისა და კანცელარისზმის საკითხზე იხილეთ  
გ. შალამბერიძის „მეტყველების კულტურის საკითხები“, თბ., 1964 წ.,  
გვ. 36—39).

ქართულ მეტყველებაში მორფოლოგიური წესები ძირითადად დად-  
გენილია, მაგრამ პრაქტიკაში მათ ზუსტად დაცვას ნაკლები ყურადღება  
ექცევა. ამით აიხსნება ორთოგრაფიულ შეცდომათა სიმრავლე ჩვენი  
პრესის ფურცლებზე. მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც თვით  
წესია დაუდგენელი, ესა თუ ის ფორმა სადავოდ არის ქცეული და  
ორნაირად ან სამნაირად იხმარება, მაგალითად: ეხლა და ახლა; იქნეს

... იქნას; დაამხეს და დაამხვეს; დაანახეს და დაახახა; მოაწყვეს, შეატყვეს და მოაწყვეს, შეატყვეს. ისინი მიღებული იქნებიან და ისინი მიღებულ იქნებიან; ერთი მხრივ, ერთი მხრით და ერთის მხრით და სხვა მრავალი.

სადავო ფორმებს ვხვდებით გეოგრაფიულ სახელთა ხმარების დროსაც.

სანიმუშოდ განვიხილავთ ერთ სადავო საკითხს, რომელიც ეხება გეოგრაფიული სახელების ხმარების ორნაირ წესს.

დ უ შ ე ლ ი თ უ დ უ შ ე თ ე ლ ი? როგორც ცნობილია, ადამიანთა სადაურობის აღსანიშნავად ქართულში - ელ ბოლოსართია გამოყენებული: ქალაქის, სოფლის ან სხვა დასახლებული პუნქტის სახელწოდებას ჩვეულებრივ ხსენებულ დაბოლოებას ჭეშმატებთ და წარმოვთქვამთ ასე: მათუმელი, გორელი, თბილისელი... დაბოლოება აქ ყველგან მარტივ ფუძეს ერთვის და ამ შემთხვევაში არაფერია სადავო. მაგრამ თუ სახელის ფუძე გართულებულია გეოგრაფიული სახელებისათვის დამახასიათებელი - ეთ მაწარმოებლით, როგორიცაა. ვთქვათ, არადეთი, ერგნეთი, გომარეთი (ამავე რიგისაა ჰორიზონტის ხმარეთა აღმნიშვნელი ტერმინები: აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი), მაშინ წარმომავლობის სახელთა გაფორმებაში ერთნაირობა არ სუფევს და ქართული ენის ძველი და ახალი საფეხურების, აგრეთვე სხვადასხვა კუთხის სამეტყველო თავისებურებათა მიხედვით ორი სახეობა შეინიშნება, რომელთაგან პირველი იმ შემთხვევაში გვაქვს. როდესაც - ელ სუფიქსი პირდაპირ მარტივ ფუძეს დაერთვის, როგორც მაგალითად: არადელი, ერგნელი, გომარელი... მეორე მაშინ, როცა ნაჩვენები სუფიქსი რთულ ფუძეს მოუდის, ისე რომ - ეთ დაბოლოება მის წინ ექცევა: არადეთელი, ერგნეთელი, გომარეთელი... ვღებულობთ ერთი და იმავე სიტყვის ორნაირ ვარიანტს: არადელი, არადეთელი; ერგნელი, ერგნეთელი; გომარელი, გომარეთელი.

რომელია ამთგან სწორი? ქართული ენის დღევანდელი ჩვენების მიხედვით ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია, რადგან ჩვენს მწერლობასა და მეტყველებაში ადგილი აქვს სახელთა წარმოების ორივე წესის გამოყენებას და ამასთანავე ერთგვარი უპირატესობა ეძლევა - ეთ ელემენტის შენარჩუნებას წარმომავლობის სუფიქსის წინ. ამიტომ თანამედროვე წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში უფრო ხშირად ამოიკითხავთ ასეთ გამოთქმებს: „ქობულეთელი მგზავრები“, „გუჯარეთელი მწყემსები“, „ერგნეთელი კოლმეურნეები“ და მისთ.

ამის საწინააღმდეგო სურათია ნალხურ სასაუბრო მეტყველებაში (უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოში), სადაც სათანადო მაგალითებში - ეთ სუფიქსი ყველგან მოკვეცილია.

დუშეთის რომელ მცხოვრებსაც უნდა შეეკითხოთ სადაურობა, ის აუცილებლად გიპასუხებთ დუშელი ვარო (და არა დუშეთელი).

სალიტერატურო ენა ნორმატულია, მისთვის დამახასიათებელია ფორმათა ერთიანობა. თუ კი სამწერლო მეტყველების პრაქტიკაში ერთდროულად თავს იჩენს ერთი და იმავე ფუნქციის ორი ან რამდენიმე ფორმა, ხდება მათი უნიფიცირება: რამდენიმე პარალელური ფორმიდან ერთერთი იმარჯვებს. ლიტერატურული ქართული-სათვის შეუგუებელია ზემოთ განხილულ ფორმათა ორმაგობა. ორიდან ერთი უნდა დარჩეს — დუშელი, ან დუშეთელი, მაგრამ რომელი?

პასუხის გაცემამდე საჭიროა საკითხის ღრმად შესწავლა, მტკიცე თვალსაზრისის ჩამოყალიბება, ენობრივ კანონზომიერებათა გათვალისწინება.

ჩვენი აზრით, ქართული ენის ნორმათა დამდგენმა კომისიამ ამ საკითხის მოგვარებისას მხედველობაში უნდა მიიღოს როგორც ისტორიული ვითარების ჩვენებანი, ისე, განსაკუთრებით, თანამედროვე ხალხური მეტყველების ტენდენცია, რომელიც საფუძველს იძლევა სადავო საკითხი, ზოგი აუცილებელი გამონაკლისის გათვალისწინებით, დუშელის ტიპის წარმოების სასარგებლოდ გადაწყდეს.

## ლექსიკა და სტილი

სტილი გულისხმობს მოლაპარაკის უნარს — ლექსიკური მარაგიდან შეარჩიოს აზრებისათვის შესაბამისი სიტყვა-თქმანი, შინაარსობრივად შეუხამოს და გრამატიკულად დაუკავშიროს ისინი ერთმანეთს, ააგოს მათგან სხვადასხვა ტიპის წინადადებები, ე. ი. მონახოს ის ხელსაყრელი ენობრივ-გრამატიკული ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ აზრის ზუსტად, ნათლად და სწორად გადმოცემას.

„იდეალური სტილი საუკეთესო შეფარდებაა სათქმელსა (გადმოსაცემ შინაარსსა) და თქმულს (გადმომცემ ენობრივ საშუალებას) შორის. ეს „საუკეთესო“ მეცნიერული ნაწარმოების ენაში მეტყველების კლასიკურ სიმარტივესა და აზრის სიცხადეს ნიშნავს“ (ა. ჩიქობავა).

მდიდარი და დამოუკიდებელი სტილის შემუშავებისათვის მოლაპარაკე კარგად უნდა ფლობდეს ენის სიტყვიერ მარაგს, ვინაიდან სტილის საფუძველს, გრამატიკულ წყობასთან ერთად, ენის ლექსიკური შემადგენლობა ჰქმნის.

რაც უფრო მეტი აქვს ადამიანს სიტყვიერი მარაგი, ცხადია, მით უფრო მეტი შესაძლებლობა მოეპოვება ნაირნაირი სიტყვები და გამოთქმები შეარჩიოს აზრების უკეთ გადმოსაცემად. სინამდვილის ერთი.



და იმავე ფაქტის გადმოსაცემად სხვადასხვა პიროვნება ერთმანეთისაგან განსხვავებულ სიტყვებსა და გრამატიკულ ფორმებს იყენებს. თვით ერთი და იგივე პიროვნებაც სხვადასხვა მომენტში ერთნაირად არ გამოხატავს ამა თუ იმ მოვლენას. მაგალითად, თუ ჩვენ იმის მოწმე ვიყავით, რომ სამგორის ველზე ძლიერი ქარი ქროდა და ხეებს ამოძრავებდა, ეს მოვლენა შეიძლება სხვადასხვა ენობრივი ვარიაციით გადმოიცეს, იმის მიხედვით, რა მიზანს უკავშირდება თქმა და რა შინაარსობლივი ელფერი ეძლევა მას:

1. სამგორის ველზე ქარი ქროდა და ხეებს არყევდა.
2. სამგორის მინდორზე ქარი დათარეშობდა და ხეებს აქანავებდა.
3. სამგორის ვაკეზე ქარი ქშუოდა და ხეებს წელში ღუნავდა.
4. სამგორის დაბლობზე ქარი მძვინვარებდა და ხეებს თავს ახრევენებდა.
5. სამგორის ვრცელ მიდამოებში ქარი ძალუმად აწყდებოდა ხეებს და მთელი ტანით არყევდა.

ეს მაგალითები ცხადყოფს, რომ დამოუკიდებელი ენობრივი სტილის გამომუშავებისათვის საჭიროა მოლაპარაკე კარგად ფლობდეს სიტყვათა მარაგს, რათა ახერხებდეს მის მოხმარებას საჭიროებისამებრ (სამგორის ველის აღსანიშნავად გარდა თვით ველისა, ზემოთ ვიხმარეთ სიტყვები: მინდორი, ვაკე, დაბლობი, ვრცელი მიდამოები; ქართან შესამებული იქნა სიტყვები: ქროდა, დათარეშობდა, ქშუოდა, მძვინვარებდა, აწყდებოდა და სხვა).

განთიადის სურათი, როდესაც ცის კიდე ამომავალი მზის სხივებით ბრწყინდება, შეიძლება არა მარტო სხვადასხვა სიტყვებითა და გამოთქმებით გადმოიცეს, არამედ სხვადასხვა ტიპის წინადადებებითაც:

1. განთიადისას აღმოსავლეთით ცა წითლად შეილება (მარტივი წინადადება);
2. ინათა და აღმოსავლეთით ცამ იწყო გაწითლება (რთული თანწყობილი წინადადება);
3. აღმოსავლეთი გათენებისას ალისფრად აენტო, აელვარდა (შერწყმული წინადადება);
4. როცა ცისკარმა მოატანა, აღმოსავლეთსაც ხანძარი მოედო (რთული ქვეწყობილი წინადადება);
5. „ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შელება“ (გრ. ორბელიანი; მარტივი წინადადება).

ენის სიტყვიერი შემადგენლობა საფუძველია სტილისათვის, ამიტომ ცხადია, რომ სწორმეტყველების დასაუფლებლად, პირველყოვლისა, უნდა ვიზრუნოთ ჩვენი პირადი ლექსიკონის გამდიდრება-განვითარებისათვის.

ბირადი ლექსიკონის გამდიდრება ძეგლ-ნიკურად, ცარიელი სიტყვე-  
ბის დახეობით არ შეიძლება, ეს უნდა ხდებოდეს სინამდვილის გაც-  
ნობა-შესწავლის, ე. ი. ცოდნის მიღების კვალდაკვალ. ადამიანი საგან-  
გებოდ უნდა ზრუნავდეს იმისათვის, რომ ამა თუ იმ სპეციალობის  
ანდა ზოგადი ცოდნის მიღების დროს იმახსოვრებდეს და ითვისებდეს  
სათანადო ტერმინების ძირითად ფონდს, ამასთან დიდ ყურადღებას  
აქცევდეს დადგენილი ტერმინების თავისდროულად, დაუმახინჯებლად  
და შევნებულად ხმარებას.

უნდა გვახსოვდეს, რომ ტერმინები მეცნიერების ამა თუ იმ დარგი-  
სათვის საგანგებოდ შერჩეული სიტყვებია, რომელთაც ცნებების გამო-  
ხატვა ეკისრებათ. ყველა სიტყვა ტერმინის მაგივრობას ვერ გასწევს,  
ხოლო ტერმინების უადგილოდ. გადაქარბებულად ან არეულად ხმარე-  
ბას შეუძლია აზრი გააბუნდოვანოს, ხელი შეუშალოს ზუსტი კვლევა-  
ძიების შედეგთა პოპულარიზაციას. „ტერმინოლოგიური ბურუსი მეც-  
ნიერებისათვის იგივეა, რაც ნისლი ნაოსნობისათვის“ — წახდენილად  
აღნიშნავდა გამოჩენილი ავსტრიელი ენათმეცნიერი ჰუგო შუხარდტი.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ყოველდღიური სასაუბრო  
ლექსიკის დაუფლებასაც, რისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს ერთი  
და იმავე ან მოსაზღვრე მნიშვნელობის მქონე სიტყვათა, ე. წ. სინო-  
ნიმთა დაგროვებას. ახალგაზრდა თაობა ქართულ ენაში შემდეგი სხვა  
სიტყვებითაც გამოითქმება: ნორჩი თაობა, მოზარდი თაობა, მომავალი  
თაობა, ახალი თაობა; ხოლო მოხუცებულობის ძირითადი მნიშვნელობა  
შეიძლება შემდეგი სიტყვებით გადმოიციეს: ხნერი, ხანდაზმული,  
დროული, კაღარა, მსცოვანი, დარბაისელი, ბებერი... გაჯავრებული-  
ს სინონიმებია: განარისხებული, გაბრაზებული, გაშმაგებული, გააფთრე-  
ბული, გაცეცხლებული, გაცხარებული, გამხეცებული, გაგულისხმებული,  
აღშფოთებული, აპილბილებული, გამწყვრალი, გააღმასებული და სხვ.

ქართული ენის სინონიმთა მარაგს შეიძლება გავეცნოთ ალ. ნეიმა-  
ნის შრომაში „ქ ა რ თ უ ლ ს ი ნ ო ნ ი მ თ ა ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი“.

ენის სტილს სიცხოველესა და გამომხატველობით ძალას ჰმატებს  
მხატვრულსახოვანი სიტყვები და ხალხური ბუნებრივი (ხატოვანი)  
თქმები, რომლებიც სიტყვათა შეკავშირება-შეხამების ისტორიულად  
გამომუშავებულ ერთეულებს წარმოადგენს. ესენია ე. წ. ფრაზეოლო-  
გიზმები, რომლებშიც შედის იდიომები, ფრთოვანი სიტყვა-თქმები,  
აფორიზმები, ანდაზა-გამოცანები და სხვა სახის მყარი ფრაზეოლო-  
გიური შენაერთები.

ქართული ფრაზეოლოგიის მდიდარი მასალა წარმოდგენილია  
თ. სახოკიას სამტომიან ლექსიკონში „ქართული ხატოვანი სიტყვა-  
თქმანი“.

ფრაზეოლოგიურ შესამებათა ნიშნუშებია: გულითადი მეგობარ... სულმოუთქმელი სირბილი; კოკისპირული წვიმა; ცხრათვალა მზე; კკ ნაპეტი დამე; აქოჩრილი ტყე; ბადრი მთვარე; სამარისებური სიჩუმე; ბამბისქულა ღრუბელი; მტრედისფრად ინათა; თვალისჩინივით გაუფრთხილდა; ცა ქულად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად; ისეთი სიჩუმე იყო, ბუზის გაფრენასაც გაიგონებდით; ბევრმა წყალმა ჩაიარა; წვლებზე ფეხს იდგამდა; იმდენი ხალხი იყო, ნემსის ყუნწი არ ჩავარდებოდა; ისეთი სიბნელე იყო, თვალთან მიტანილ თითს ვერ დაინახავდით; ბოლოს სცემდა; კაპანწყვეტაში იყო და სხვა.

მოვიყვანთ მაგალითს იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ შეიძლება ზოგიერთი უფერული გამოთქმა შევცვალოთ შთაბეჭდილების აღმძვრელი ხატოვანი ხალხური თქმით: ერთერთ ნარკვევში ვკითხულობთ: „ბოლოს ოქროსფერი ქვის პერანგით შემოსეს ჯერ კიდევ დაუმთავრებელი შენობა, დამშვენდა, დამაბრმავებლად გაბრწყინდა სხვა შენობებს შორის“. აქ ნაცვლად სიტყვისა „დამაბრმავებლად“, აჯობებდა ავტორს ეხმარა ფრაზეოლოგიური თქმა „თვალისმომკრელად“, „თვალისმომკრელად გაბრწყინდა“, ცხადია, უფრო ეფექტური და ბუნებრივი გამოთქმა იქნებოდა.

ერთერთი კორესპონდენტი აღწერს თანამედროვე გიგანტურ სამკედლოს და წერს: „ცეცხლისფერ რკინას აკვირდება წყვილი თვალი“. მთელი ეს წინადადება, როგორც იტყვიან, კრიტიკას ვერ უძლებს: „ცეცხლისფერი რკინა“ მეტად უფერული, მტკნარი სახეა, მას თამამად შესცვლის უფრო შთაბეჭდავი და ბუნებრივი ქართული თქმა „გავარვარებული რკინა“, ხოლო ორი სიტყვა „წყვილი თვალი“ აქ ზედმეტია, ზმნა „აკვირდება“ მშვენივრად გამოხატავს აზრს და მასში ისედაც იგულისხმება თვალი (როგორც საერთოდ თვალი, ისე „წყვილიც“).

გაუმართავი, ჩამოუყალიბებელი სტილი უმთავრესად ზეპირ საჯარო მეტყველებაში იჩენს თავს. ეს მაშინ ხდება, როდესაც მოლაპარაკე პირი მოუშვადებელი გამოდის. ყოველი ჩვენგანი ყოფილა, ალბათ, იმის მოწმე, როდესაც ასეთი პიროვნება ბორძიკით, პირდაპირ ენის მტვრევით ლაპარაკობს, ამით უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მსმენელებს. ვინაიდან ისინი გრძნობენ, როგორ წვალობს ასეთი „ორატორი“ გამოთქმის სიძნელეთა გამო, როგორ ეძებს სიტყვებსა და გამოთქმებს, აკეთებს ხშირ პაუზებს, რომელთაც ავსებს არასამეტყველო გაურკვეველი (დიფუზიური) ბგერებით, წარამარა იმეორებს ზედმეტ სიტყვებს (ისა, როგორც ვიცით, რომ, ესე იგი, ასე ვთქვათ, მაშასადამე, რაქვია...), უკან იბრუნებს უკვე წარმოთქმულ სიტყვებს, შლის ერთხელ მიგნებულ და წარმოთქმულ წინადადებებს და მეორედ აგებს მათ. ყველა ამის გამო ასეთი ლაპარაკი მოკლებულია შინაარსს, გამართულობას,

აწრთა ლოგიკურ თანამიმდევრობასა და მოშლილი მეტყველების "შთაბეჭდილებას ტოვებს.

• ზეპირი და წერითი მეტყველების სტილს აბუნდოვანებს ზ ე დ მ ე ტ ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა, რის შედეგადაც ვლებულობთ გაჭინურებულ, პირდაპირ მომაბეზრებელ ფრაზებს. მაგალითად: „დიდად ნიჭიერი და გულის გრძობით აღსავსე მწერალი ე. ნინოშვილი, რომელმაც ქართველი ხალხის უქცნობ გულში მაღალი ძეგლი დაიდგა, ე. ი. ხალხს თავი შეაყვარა და შეათვისებინა, დაიბადა, აღიზარდა, ბავშვობა გაატარა და, ასე ვთქვათ, დავაჟაკდა კიდევ საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში, გურიისში, სადაც ის ახლოს, მშვენივრად, მაშასადამე, კარგად გაეცნო ბედით დაჩაგრული მშრომელი გლეხობის ყოფა-ცხოვრებასა და მთელ მის საქმიანობას, ავ-კარგს და ყოველივე მოვლენებს“ (ერთ-ერთი აბიტურიენტის ნამუშევრიდან).

მრავალსიტყვიანი და ბუნდოვანი სტილის წინადადებად ჩვენ მიგვაჩნია აგრეთვე მსაზღვრელებითა და ჩართული სიტყვებით ხელოვნურად გადატვირთული ისეთი წინადადებები, რომლის ერთი ნიმუში აქვე მოგვყავს:

„უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალში კინორეჟისურა, მსახიობთა დასი, კინოსტუდიის ხელმძღვანელობა, წარმოების შესაძლებლობათა სიმალლეზე აღმოჩნდება, და ჩვენს, ბევრის ამტანსა და მომთმენს, კეთილ და ზრდილ მყურებელს მაღალი მხატვრული ხარისხისა და გემოვნების, უპრეტენზიო, ცხოვრებისეულ კემპარიტი შემოქმედებითი ნიჭით გასხივოსნებულ ფართე და ვიწრო ეკრანიან, ფერად თუ ორფეროვან ფილმებს უჩვენებენ“.

ზედმეტი სიტყვებით დამძიმებული და გაზვიადებული სტილის თავისებურ ნიმუშს წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებში — „გლეხთა განთავისუფლების პირველი-დროების სცენები“ — გამოყვანილი პერსონაჟის, გლახა ჭრიაშვილის, მეტყველება.

ტ ა ვ ტ ო ლ ო გ ი ა — ერთი და იმავე სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების განმეორება ლაპარაკში, მაგალითად: „ლუარსაბი კახელი თავადიშვილი იყო. მისი ჩვეულება იყო ძილი და მოსვენება, ის იყო ყოვლად ზარმაცი, იყო შეუგნებელი და ზანტი“.

„იქვე იყო ბრძანების ასასრულებლად მუდამ მზად ყოფნაში მყოფი აღიუტანტი“.

„იმას უნდოდა ყველაფერი სცოდნოდა და მცოდნე ყოფილიყო“.

„დავენმარები ჩამორჩენილ პიონერებს, რომ არც ერთი არ იყოს ჩამორჩენილი“.

„მწერალი ახლოს დაუახლოვდა ცხოვრებას“.

„თქვენ აქ მარტო წინაპარს კი არ დასცინით, არამედ თვით ამჟამად გამეფებულ მეფესაც“.

„თავის მასწავლებელს წიგნების გადაწერაში და უდაში ჩასმაში ეხმარებოდა“.

ს ი ტ ყ ვ ა თ ა შ ი ნ ა ა რ ს ო ბ ლ ი ვ ი შ ე უ ხ ა მ ე ბ ლ ო ბ ა . სშირად ვერ ახერხებენ სიტყვების ერთმანეთთან შინაარსობლივად შეხამება-შეწყობას. ერთერთი სტუდენტის ნაშრომში ვკითხულობთ: „ეჟა თავის შემოქმედებაში ღრმად გამოსახავს ხალხის მისწრაფებას თავისუფლებისაკენ“. ამ გამოთქმაში გარემოება „ღრმად“ არ შეესაბამება შემასმენელს „გამოსახავს“. ეს სიტყვა შეიძლება ვინმართ სხვა შემასმენელთან, როგორც, მაგალითად: „ღრმად ჩასწვდა საკითხის არსს“, „ღრმად გააშუქა საკითხი“, მაგრამ იგი ვერ ეგუება ზმნას — „გამოსახავს“.

ასევე შეუსაბამოა სიტყვა „როლი“ შემასმენელთან „მიუძღვით“ შემდეგ გამოთქმაში: „მოსწავლეთა გაფაქიზებასა და გაკეთილშობილებაში პედაგოგებს მიუძღვით უდიდესი როლი“ (უნდა იყოს: როლი ეკისრებათ).

სიტყვათა შეუსაბამოდ ხმარების საფუძველზე უკანასკნელ ხანებში ზეპირ მეტყველებასა და წერაშიც ფეხი მოიკიდა ზოგი სიტყვის არა თავისი დანიშნულებით ხმარებამ: სიტყვების — საკითხის, მოვლენის, ამოცანის, თუ საქმის ნაცვლად, ხშირად სავსებით უმართებულოდ ხმარობენ ამბავს: „საექსპოზიციო მუშაობა მთავარ ამბავს წარმოადგენს მუზეუმში“, „მთავარი ამბავი ჩვენს მუშაობაში ეს არის“ და სხვა.

უკუქცევითი ნაცვალსახელის „თავისის“ ნაცვლად იყენებენ მესამე პირის ჩვეულებრივ ნაცვალსახელს:

„მეგი შეფრფინვით შესცქეროდა მის დანიშნულს“. (უნდა იყოს თავის დანიშნულს).

„ამ რამდენიმე თვის წინათ უკანასკნელად ვინახულე ამხანაგი ვიქტორი მოსკოვში, მის ბინაში“ (უნდა იყოს თავის ბინაში).

ზოგისათვის გაურკვეველია, რომელია სწორი ორი. გამოთქმიდან: „როლს თამაშობს“, და „როლს ახრულებს“. ამის გასაგებად საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა დანიშნულებით არის ნახმარი სიტყვა როლი. თუ იგი წინადადებაში თავისი პირდაპირი (ძირითადი) მნიშვნელობით გვხვდება, მაშინ დასაშვებია ითქვას: „როლს თამაშობს“ (ამასთანავე ერთად, რასაკვირველია, ასეც: „როლს ასრულებს“), მაგრამ თუ ამ სიტყვას გადატანითი მნიშვნელობით ვიყენებთ, მაშინ მას შეეხამება ზმნა „ასრულებს“. ამის მიხედვით შეიძლება ითქვას: გამოჩენილი მსახიობი ვ. გოჭიაშვილი ლუარსაბის როლს კარგად თამაშობს (ან ასრულებს),

მაგრამ არ შეიძლება ითქვას: „ვეფხისტყაოსანმა“ დიდი როლი ითამაშა ქართული კულტურის ისტორიაში“. აქ აუცილებელია ითქვას და დაიწეროს „შეასრულა“.

ხშირად უმართებულოდ იყენებენ ზმნას დაწერა. უნდა ითქვას: „შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წევრებთან მძიმე დაისმის“ და არა იწერება.

აკად. ვ. თოფურიამ სწორად შენიშნა, რომ უკანასკნელ დროს ჩვენს ყოველდღიურ მეტყველებაში იკარგება მსაზღვრელი სიტყვა „წმინდა“ და მისი მნიშვნელობის გაუთვალისწინებლობის გამო მის ადგილს იკავებს „სუფთა“. არ არის სწორი ფეხმოკიდებული გამოთქმები: სუფთა მოგება, სუფთა წონა, სუფთა გრძნობა, სუფთა ზნეობა. მსაზღვრელ-საზღვრულთა ამ წყვილულებში ყველგან საჭიროა ითქვას წმინდა. სუფთა მსაზღვრელად დაერთვის ისეთი საგნის აღმნიშვნელ სიტყვას, რომელიც გაასუფთავებს, ჭუჭყი მოაცილეს (იხ. ვ. თოფურიას სტატია „ნუ ვკარგავთ საჭირო ქართულ სიტყვას“, გაზ. „თბილისი“, 6/II. 1958 წ.).

ერთმანეთში ურევენ ორ სიტყვას: განაგრძო და გააგრძელა; პირველის ნაცვლად მეორეს ხმარობენ: ხიარული გააგრძელა, გაკვეთილი გააგრძელა, ხწავლა გააგრძელა, იმის ნაცვლად, რომ თქვან: „განაგრძო“. გაგრძელება და განგრძობა თუმცა წარმოშობითა და მნიშვნელობით ერთმანეთთან ახლოს დგას, მაგრამ მაინც სხვადასხვა სიტყვაა და საჭიროა თავთავის ადგილას ვინმაროთ. როდესაც ამბობენ მომხსენებელმა სიტყვა გააგრძელაო, ეს იმას ნიშნავს, რომ მან მეტი დრო მოაწოდო ლაპარაკს, მოხსენება გააჭიანურა, გრძელი გახდა („გააგრძელებს — გრძელს გახდის. სიგრძეს მოუმატებს, სიგრძივ გააღიღებს“. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი), მაგრამ როცა იტყვიან სიტყვა განაგრძოო, აქ ის იგულისხმება, რომ მოლაპარაკე ერთხელ შეწყვეტილ სიტყვას კვლავ დაუბრუნდა, განაახლა ლაპარაკი.

სწორია გამოთქმები: რეგლამენტი გაუგრძელეს, მოხსენება გაუგრძელდა, მაგრამ თუ კაცი ერთხელ შეწყვეტილ მოქმედებას (წერას, კითხვას, ლაპარაკს) ისევ დაუბრუნდება, მაშინ წერა, ლაპარაკი.... გააგრძელაო კი არ უნდა ვთქვათ, არამედ — განაგრძოო.

წინადადებაში სიტყვათა წესიერი წყობის დარღვევა ხშირად იწვევს აზრის დაბუნდოვანებას, ან სრულ გაუგებრობას, მაგალითები:

„აღფრთოვანებული ყმაწვილი შემოიქრა ოთახში, რომელიც დღეს დააჯილდოეს“. ამ წინადადებაში სიტყვები „ოთახი“ და „ყმაწვილი“ თავთავის ადგილას არ არის ნახმარი. რის გამო გამოდის, თითქოს ოთახი დაუჯილდოებიათ და არა ყმაწვილი. სწორი წყობით ეს წინადადება

ასე უნდა წარმდითქვას: „ოთახში შემოიკრა აღფრთოვანებული ყმაწვილი, რომელიც დღეს დააჯილდოეს“.

ფოსტალიონმა დეპეშა მოუტანა დედას, რომელიც ქალაქიდან იყო გამოგზავნილი. უნდა იყოს: ფოსტალიონმა დედას მოუტანა დეპეშა, რომელიც ქალაქიდან იყო გამოგზავნილი.

სტილის სისწორესა და სიწმინდეს არღვევს აგრეთვე ხელოვნურად გამოგონილი უჩვეულო სიტყვები (განსაკუთრებით კომპოზიტები), უცხო სიტყვებით გატაცება, დიალექტიზმები, ვულგარიზმები, პრიმიტიული ან ტრაფარეტული გამოთქმები, გამოთქმის მანერულობა და სხვ.

ხელოვნურად შეთხზულ სიტყვებს ზეპირმეტყველებაში ნაკლებად ვხვდებით, მათი ხმარება დამახასიათებელია ზოგიერთი მწერლისათვის, რომლებიც ცდილობენ ენის ბუნებისათვის უცხო, თვითნებურად შექმნილი უცნაური სიტყვებით ორიგინალობა გამოიჩინონ.

ამგვარ „ნაძალადევ“, გამოგონილ სიტყვათა ნიმუშებია:

1. წარმოქმნილ სახელთაგან: მოასპიროზე (წარმოქმნილია აპსპროზიდან: „მომელანდება ნარნარი წელი და წყვილი თვალი მოასპიროზე“); თაკარიდან — სითაკარე („ბრძმედების სითაკარე“); მოხუციდან — სიმოხუცი (მოხუცებულობის ნაცვლად); ნისლიდან — ნაისლი, ხავსადან — ხავსური, ქართულიდან — ნაქართულები („არაკვი ნაქართულები“).

2. სახელებიდან მიღებული შეუფერებელი ზმნებია: ჩონგურიდან — დაჩონგურა („ჩონგური დაჩონგურა“), მინდვრიანიდან — გაიშინდვრიანა, არაკვიდან — გაარაკვება, განთიადიდან — გავგანთიადლი, ისრიდან — ისრავს.

ზოგიერთი მწერალი გადაჭარბებულ მისწრაფებას იჩენს რთულ-სიტყვაობისადმი, იგი ხელმიშვებით თხზავს ახალ-ახალ კომპოზიტებს და მათი ხმარებით სტილისტური ბუნდოვანება შეაქვს თავის ნაწარმოებში.

ამგვარი გატაცების შედეგია ლექსიკური ნეოლოგიზმები: მაღალკედელი, ბურანსახე, წყალჭიდილი, წყალსახელი, თვალმეხსიერება, დიდყოჩი, შუაშუღლობა, შორსმარაგიანი, ავხასიათი, ძველხმა, შავმუნჯი, ღრმაქვრეტილი, დედოფარი, სიტყვასხეულიანი, შავმანდილი, ქართულვარაუდი, რუსულთოფი, ნელჩუჩუნა, გულზერელედ და მისთანები...

გვხვდება აგრეთვე ხელოვნურად შეთხზული, მძიმე და მაღალფარდოვანი გამოთქმებიც, რომლებიც უპირისპირდებიან სადა, უბრალო, გასაგებ, ნათელ შესიტყვებებს, მაგალითად:

„ვუკვას ნაწარმოებნი აღქურვილია სამშობლოსადმი სიყვარულის მორევივით ღრმა გრძნობით“. „ჩვენი ვენახები აბსოლუტური მსხმოვია-

რობის მდგომარეობაში არიან ჩაყენებულნი“. „ქალმა განუცხადა: თქვენ ქალიან მესიმპათიურებით“.

„კამადისი დატრიალდა“, „სულიერი აფორიაქებულობის ვრძნობა შემოენთო“, „შუბლქუფრიანად მოისმინა“.

ამგვარი სიტყვებითა და გამოთქმებით გატაცება ზიანის მეტს ვერაფერს მოუტანს მწერლობას. უაღრესად საინტერესოა ამ საკითხზე ვ. ი. ლენინის მითითება: „მარქსისა და ენგელსის გენიოსობა, სხვათა შორის, იმაშიც გამოიხატება, რომ მათ ეზიზღებოდათ გაძლიერებული თამაში ახალი სიტყვებით, ეჭავრებოდათ შეთხზული ტერმინები, თვალთმაქცური „იზმები“ და პირდაპირ და უბრალოდ ამბობდნენ: „არის მატერიალისტური და იდეალისტური ხაზი ფილოსოფიაში, ხოლო მათ შორის აგნოსტიციზმის სხვადასხვა ელფერი“.

ქართულში, სხვა ენების მსგავსად, საკმაო რაოდენობით არის დამკვიდრებული საერთაშორისო სიტყვები. მათი ხმარება აუცილებელია, მაგრამ ზოგი მოლაპარაკე ან მწერალი ამა თუ იმ ცნების გამოსახატავად მიმართავს ისეთ უცხო სიტყვებს, რომელთა ბადალი ჩვენს ენას აქვს.

მაგალითად, ხშირად ხმარობენ სიტყვებს — ინიციატივას და ინიციატორს და ავიწყდებათ, რომ ქართულში გვაქვს მათი შესაბამისი სიტყვები: თაოსნობა და თაოსანი. ხშირად ამბობენ ანალოგიურს მსგავსის ნაცვლად და რეგულარულს — მულმივის, განუწყვეტელის მაგივრად.

ასევე ფართოდ გავრცელებული ეგზემპლარის ნაცვლად თამამად შეგვიძლია ვინხმართ ცალი, ბროშურის ნაცვლად — წიგნაკი, ფუნდამენტს შევუნაცვლოთ საძირკველი, გრუნტს — ნიადაგი, სპეციალურს — საგანგებო, დოკუმენტს — საბუთი, მანუსკრიპტს — ხელნაწერი და მრავალი სხვა.

თანამედროვე ზეპირ მეტყველებაში და ხშირად საჯარო გამოსვლებშიც ისმის ლექსიკური დიალექტიზმები:

სოველი (ნაცვლად სველიცა), ხიდე (მრავლობითში ამბობენ ხიდები), გამთენიისას (გათენებისას), კისერი (ყელის მნიშვნელობით), ლენჯო (წენგო).

მასობრივი მკითხველისათვის გაუგებარია ერთ თარგმნილ რომანში ნახმარი სიტყვები კადო და ნაჯაო:

„ენტონის თვალი არ მოუცილებია პატრუქის ალისფერი ნამწვისათვის. მანამდე მისჩერებოდა ნაცრისფერი კვამლის დაკლაკნილ ზოლს და მბეუტავ სინათლეს ქერზე, ლითონის ნაჯაოსა და ხის კადოს შუა რომ თრთოდა და ცახცახებდა“.



მიუღებელია, რასაკვირველია, შემდეგი გამოთქმებიც, რომლებიც ამღვრევენ ჩვენს ლიტერატურულ მეტყველებას:

დედას ვფიცავარ, წასულარიან, მოსულარიან, ზილარიან, გააკეთენ, აიღენ, მოიტანენ; კარგი სახელი ჰქვიოდა, თვალში ცუდად იხედება, თვალებს აფაზულებს, როდის მოდი (მოხვედი-ს ნაცვლად), ძალიანი მახარებს ეს ამბავი; ქურთუკი გაიძრო (გაიხადა), ვინაც მოიტანა (ვინც მოიტანა), წაიღენ, გარეცხენ (უნდა იყოს: წაიღეს, გარეცხეს), მათმა არ იცოდნენ (მათ არ იცოდნენ) და მისთ.

ზოგიერთი მწერალი ცდილობს გამოთქმის საგანგებო სტილი შეთხზას, ისეთი გამოთქმები და ფორმები იხმაროს, ან ისე დააღაგოს სიტყვები, რომ სხვებისაგან გამოირჩეს და ამით ერთგვარი თავისებური მანერა გამოამჟღავნოს. ასეთი მისწრაფება, რასაკვირველია, არ არის სწორი. მანერულობით გატაცებული მწერლის ენა უმრავლესობისათვის გაუგებარი, მომაბეზრებელი და ანტიხალხურია. ასეთი მწერალი საყოველთაოდ შემუშავებული სტილისტური ხერხების ნაცვლად ხმარობს აკვიატებულ ფორმებს და წინადადებებს, რომლებიც ან კუთხურ გამოთქმათა სამყაროდან არის ამოღებული, ანდა სხვა წყაროდან (უცხო ენების გავლენა, არქაიზმები, ნეოლოგიზმები ან საკუთარი ფანტაზიით შექმნილი ვულგარიზმები).

მანერული სტილის ნიმუშად მოვიყვანთ ერთი მოთხრობის ნაწყვეტს:

«...ქიდევ კარგი, გამოაცხადა გერმანელთა საავადმყოფომა, ლეიბები გვინდაო. ვერცხლის ქამარ-ხანჯალი ჰქონდა, მასრები ვერცხლისა, ისიც მიაყოლა, მხოლოდ მასრები იმ ხანად ისევ შინ დააბრუნებინა, დაიტოვა თელავის დღეთა მოსაგონრადა. მაშინ იცვამდა ხოლმე ჩოხა-ახალუხსა, შუამთას, ალავერდს, იყალთოს, გრემს რომ გაინავარდებდნენ ხოლმე. მართლაც განავარდებად ითქმოდა, ისე ლაღი იყო, უზრუნველი, თავისუფალი. იმ სილაღეს მოაგონებდა, ღირდა შეენახა მასრები, მოგონებით მაინც ამოისუნთქავდა თავისუფლად. სამაგიეროდ ნინო ბექდებსა, სამაჭურებსა და გულქანდსა სთავაზობდა. შეიძლებოდა იქიდანაც გადარჩეულიყო ახლავე გასამეტებელი ცალკე, გადასანაზი ცალკე, მოსაგონრადაცა, შავი დღისთვისაცა. თასებიც გამეტებულიყო, დავიწყებულიყო იმათი სახსოვარი, ნივთად ქცეულიყვნენ, გასაქირში გამოსადეგადა“.

მოყვანილ ნაწყვეტში აშკარად იგრძნობა მწერლის მიერ ავადმყოფურად აკვიატებული ბრუნვის გავრცობილ ფორმათა ხმარება (საავადმყოფომა, მოსაგონრადა, ჩოხა-ახალუხსა, თავისუფლად, ბექდებსა, გულქანდსა, მოსაგონრადაცა, დღისთვისაცა, გამოსადეგადა), რაც სავსებით უადგილოა. ამ ზედმეტი ემფატიკური ანის ხმარება სავსებით

კაცლის მწერლის პეტყველებას ელფერს, იგი ვერც კუთხურ პეტყველებამდე დადის (რადგან ქართლურსა და კახურს მართლა ახასიათებს ბრუნვათა გავრცობილი ფორმები, მაგრამ ასე უსისტემოდ და ასე გადაქარბებით არა) და ლიტერატურულ ენასაც უქარგავს თავის შნოსა და ლაზათს<sup>1</sup>.

ზოგჯერ ესა თუ ის ნაწერი თითქოს ლიტერატურულად გამართულია. ერთი შეხედვით მასში არ იგრძნობა არც მანერულობა, არც სტილის სხვა ნაკლოვანებანი, მისი ცალკეული სიტყვები ნაცნობი და გასაგებია, მაგრამ მთლიანად აღებული კი ვერ გადმოგვცემს გარკვეულ აზრს, ღიდი ფიქრი და შეიძლება რამდენიმე წაკითხვაც კი დაგვირდეთ ავტორის აზრის მისახვედრად. ასეთი ნაწერის სტილი მოუქნელია, ტრაფარეტული, მშრალი და ფორმალზმით დამძიმებული. ეს უმთავრესად ცუდად თარგმნილი ლიტერატურისათვის არის დამახასიათებელი და იმის შედეგია, რომ მთარგმნელის მთელი ყურადღება გამახვილებულია სათარგმნელი ენიდან ლექსიკურ შესატყვისობათა გადმოღებაზე და არა თარგმნილის შინაგანი ენობრივი ბუნების, მისი თავისებურების გათვალისწინებაზე.

სანიმუშოდ წარმოვადგენთ ერთ მცირე ნაწყვეტს ამგვარი ფორმალისტური და ბუნდოვანი სტილით ნათარგმნი სახელმძღვანელოდან. აქ წერია:

„აგზნება, რომელიც ცენტრისკენული ნერვებით თავის ტვინში მომუშავე რეცეპტორებიდან მოდის, გადადის ცენტრიდანულ ნერვებზე, რომლებიც გულის მოქმედებას აძლიერებენ. თუ აგზნება ცენტრისკენული ნერვებით არამომუშავე ორგანოებიდან ტარდება, მაშინ ის თავის ტვინში ცენტრიდანულ ნერვებზე გადაინაცვლებს და გულის მუშაობას ამცირებს“.

ქართული ენის სტილურ თავისებურებათა მიხედვით ტექსტი ასე შეიძლება გადაამართულიყო:

თავის ტვინის მოქმედი რეცეპტორებიდან ცენტრისკენული ნერვებით მომდინარე აგზნება გადადის ცენტრიდანულ ნერვებზე, რომლებიც გულის მოქმედებას აძლიერებენ, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ აგზნება იმავე ცენტრისკენული ნერვებით თავის ტვინის უმოქმედო ორგანოებიდან მომდინარეობს, მაშინ ის ცენტრიდანულ ნერვებზე გადაინაცვლებს და გულის მუშაობას ანელებს.

კ ა ლ კ ი სიტყვათა სესხების ერთი სახეობაა და ეწოდება ახალი სიტყვების ან გამოთქმების შედგენას სხვა ენის თავისებურებათა საფუ-

<sup>1</sup> იმავე საკითხს ეხება შ. ძიძიგურის სტატია „ენობრივი ნატურალიზმის წინააღმდეგ მწერლობაში“. იხ. მიკა წიგნი „ენა და ლიტერატურა“, თბ., 1965 წ.

ძველზე. კალკი, საზოგადოდ. ნიშნავს ქალაქს, რითაც ნახაზების პირებს იღებენ. ენათმეცნიერებაში იგი გადატანითი მნიშვნელობით იზმარება და იმაზე მიუთითებს, რომ ენობრივი კალკირებაც პირს ვადაღებას გვაგონებს. მაგალითად, ახლად შექმნილი ქართული სიტყვები: ელმავალი, თვითმფრინავი, ელექტროწვევა, გაუპიროვნება, პირდაპირი თარგმანია რუსული სიტყვებისა: элекТровоа, самолёт, элекТротяга, обезпичение.

„კალკი ენის გამდიდრების ერთ-ერთი პროდუქტიული საშუალებაა“ (ა. ლლონტი), მაგრამ როდესაც კალკირებას ზეპირმეტყველებაში ფართო გასაქანს აძლევენ და ამით მშობლიური ენის ბუნებრივ თავისებურებებს ჩრდილავენ, მაშინ კალკი ენის სიმახინჯედ გვევლინება. ამის მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ რუსულის თარგზე „გამოჭრილი“ და საკმაოდ გავრცელებული ასეთი ნიმუშები: „დირექტორი თ. ენისთან არის“ (შეადარე რუსული: директор у себя) „ის კალოშებში და პალტოში დადის“, იმის ნაცვლად რომ თქვან: კალოშებით, პალტოთი; „გაყიდვაშია ნაფტალინი“ (უნდა იყოს: იყიდება ნაფტალინი); „არ მაწყობს“ (не устраняет), „ხუთი წელი მისცეს დამნაშავეს“ (უნდა იყოს: მიუსაჯეს), „მხატვრული ტანვარჯიში მუსიკის ქვეშ“ (უნდა იყოს: მუსიკის თანხლებით), „ზეთზე შემწვარი თევზი“ (უნდა იყოს: ზეთში).

## წ ა რ მ ო ტ ქ მ ა

მეტყველების მთელი შინაგანი ძალა, როგორც ვნახეთ, ენობრივი სტილის სიცხადესა და აზრობრივ ლოგიკურ გამართულობაში ვლინდება. მაგრამ ზეპირ სიტყვას მეორე მნიშვნელოვანი მხარეც აქვს, ეს არის წარმოთქმა.

წარმოთქმა ცოცხალი მეტყველების ნიშანდობლივი მხარეა. ენის, როგორც ურთიერთგაგებინების იარაღის, გამოყენება საზოგადოებაში წარმოთქმის გზით ხდება, ამიტომ წარმოთქმა ენის გამოყენებითი, მისი პრაქტიკული (მატერიალური) მხარეა.

მეტყველების წარმოთქმითი მხარე გაბმულ ბგეროვნობაში მდგომარეობს. ბგეროვნობას მოლაპარაკე პირი სამეტყველო ორგანოების ამოძრავებით აღწევს სუნთქვის დროს: საჭიროების მიხედვით ნებისმიერად წარმოთქვამს ბგერებს მარცვლებად, მარცვლებს — სიტყვებად და სიტყვებს — ცალკ-ცალკეულად, ანდა წინადადებებად.

წარმოთქმის ყველა ამ ელემენტს მოლაპარაკე აქცევს ინტონაციისა და რიტმიკული მელოდიურობის გარკვეულ კალაპოტში, როგორც გაბმული საუბრის მთლიან ჯაჭვში.

„უფროსი გავებით წარმოთქმა გულისხმობს მოცემული ენის შინა-  
არსის ენობრივ-გამომხატველობით საშუალებებსა და მათი გამოყენე-  
ბის დამახასიათებელ ხერხებს, რომლებსაც ურთიერთგაგებინებისათვის  
ვიყენებთ“. (ს. უდენტი).

რაც უფრო მკაფიო და გასაგონია მოლაპარაკის წარმოთქმა, მით  
უფრო მეტია გაგების შესაძლებლობა. აქედან ცხადი ხდება წარმოთქ-  
მის დიდი სოციალური დანიშნულება: კარგად მოფიქრებული, სტილის-  
ტურად გამართული, მაგრამ ბუნდოვნად ან არასწორად წარმოთქმული  
ფრაზა კარგავს თავის შინაარსობლივ ძალას, უქმი და მთლიანად ან  
ნაწილობრივ გაუგებარი ხდება მსმენელისათვის; არც პირუკუ შემთხ-  
ვევა გვაძლევს დადებით შედეგს, ე. ი. ისეთი შემთხვევა, როცა მკაფიო  
წარმოთქმისას სუსტი სტილი იჩენს თავს, თუმცა ასეთი შემთხვევები  
იშვიათია. ჩვეულებრივ კი განვითარებულ ენობრივ სტილს სათანადოდ  
განვითარებული წარმოთქმა შეესაბამება, ამიტომ ცხადია, რომ ცოცხალ-  
ი მეტყველების ეს ორივე მხარე — წარმოთქმა და სტილი — ერთმან-  
ეთისაგან გათიშულად არ უნდა წარმოვიდგინოთ. „ადამიანის მეტყვე-  
ლების რთული პროცესი მთლიანობაშია მოცემული და ამიტომ მეტყ-  
ველების წარმოთქმითი მხარე სტრუქტურულ ერთიანობაშია მის სხვა  
მხარეებთან“. (გ. ახვლედიანი).

ამის გამო ბუნებრივია, თუ ვიტყვი, რომ მეტყველების კულტურა  
ენობრივი პროცესის ამ ორი ძირითადი მხარის ჰარმონიულად შერწყ-  
მას ემყარება. თუ ეს ჰარმონია დარღვეულია, სწორმეტყველებას ეც-  
ლება საფუძველი და ეს განსაკუთრებით საგრძნობია საჯარო გამოსვ-  
ლების დროს.

წარმოთქმა ე. წ. „ენობრივი მიწოდების“ ანუ გადაცემის  
აკუსტიკური საშუალებაა. ჩვეულებრივ, ყოველდღიური სასაუბრო  
წარმოთქმა წარმოთქმა-გაგონების უსაჭიროეს მინიმალურ მოთხოვნებს  
აღვილად აკმაყოფილებს. საჯარო გამოსვლის დროს კი, როცა მოლა-  
პარაკეს მრავალი მსმენელის ყურადღების მიპყრობა პირდება, ჩვეუ-  
ლებრივი წარმოთქმა უკვე აღარ არის საკმარისი, აქ საჭიროა წარმო-  
თქმის უფრო მაღალი საფეხური — ე. წ. გამომეტყველებითი, მკაფიო  
წარმოთქმა (დიქცია). მისი დაუფლება გულისხმობს, ერთი მხრით,  
მოლაპარაკის მიერ წარმოთქმის ელემენტების, მისი რაობის თეორიულ  
გააზრებას და, მეორე მხრით, მისი პრაქტიკულად მოხმარების უნარს.  
წარმოთქმა ამ შემთხვევაში ლექტორის, პედაგოგის, პროპაგანდისტის  
ხელში გადაცემის ხელოვნების ძირითადი კომპონენტია.

მთელი ხელოვნება გადაცემისა, აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, „იმაში მდგო-  
მარეობს, რომ აუდიტორიაზე საუკეთესოდ ვიმოქმედოთ, გავხადოთ  
რა მისთვის გარკვეული ქეშმარიტება რაც შეიძლება დამარწმუნე-

ბელი, რაც შეიძლება ადვილად ასათვისებელი და მტკიცედ დასამაზ-სოვრებელი“.

ცხადია, ამ დიდ მოთხოვნათა შესრულებისათვის მთავარია ცოცხალი სიტყვა, მისი მკაფიოდ წარმოთქმა, რომელიც ყველგან და ყოველთვის სამეტყველო პროცესის ორგანიზატორია, მისი შინაარსის წარმმართველი და გამაცხოველებელი. „ცოცხალი სიტყვა, საერთოდ, ყოველგვარი ცოდნის გადაცემის, ადამიანის გარდაქმნის, მასზე გავლენის მოხდენისა და წარუშლელი შთაბეჭდილების გამოწვევის აქტიური საშუალებაა“ (ნ. კანდელაკი).

იქ, სადაც წარმოთქმის ეს დიდი როლი უგულებელყოფილია, ზეპირი მეტყველება ხშირად მახინჯდება და საზიანოდ მოქმედებს საზოგადოებაზე. ქართული დიქციის ერთერთი სახელმძღვანელოს ავტორი ნიკო შიუკაშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „ძნელი გასაზომია ის ვნება, რომელიც მოაქვს უგვანო დიქციას. უსაზო მეტყველებას! ვინ არ დასწრებია ჩვენს კრებებს, ლექციებს, პაექრობას და ვინ არ დასწრებულა „ორატორთა“ მეტყველების საშინელებით: არც ხმა, არც გამოთქმა, არც ნათელი არტიკულაცია და სულ უბრალოც კი — შეგნება, რომ ის თავისთვის კი არ დუდუნებს, — საზოგადოებისათვის“.

ეს მწვავე ბრალდება 1926 წელს გამოითქვა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, ქართულ ლიტერატურულ ზეპირმეტყველებას სარბიელი გაუფართოვდა, ამადღდა მისი ხარისხი: დაიხვეწა და განმტკიცდა სასცენო მეტყველება, ასპარეზზე გამოვიდნენ თქმის ხელოვანი — მსახიობები, რადიოსა და ტელეხედვის დიქტორები, პედაგოგები, პროფესიული ლექტორები და აგიტატორ-პროპაგანდისტები. მკვერმეტყველება მასების იდეური წრთობის სამსახურში ჩადგა, მაგრამ ორთოეპიის ანუ სწორი ზეპირმეტყველების ჩვევები ჯერ კიდევ ვერ არის მტკიცედ დანერგილი ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. მას საგრძნობი ნაკლოვანებანი ახასიათებს, ამიტომ მწერლისა და დრამატურგის ნ. შიუკაშვილის ზემოხსენებული სიტყვები მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც დღეისთვისაც მართლდება.

სახელოვანი მწერალი შალვა დადიანი ჯერ კიდევ 1940 წელს სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ზეპირი სიტყვის ხელოვნება (უმთავრესად, დეკლამაციას გულისხმობდა) ჩვენში დიდად ჩამორჩება, რომ „ჩვენ არა გვაქვს დადგენილი საერთოდ ქართული დიქცია. არ არის გამომუშავებული, თუ გნებავთ, ერთგვარი სისტემა, ნორმა, შეგუებული ქართული ენის ბუნებასთან და ჩვენ დიდ ეპოქასთან“. ამ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად მწერალი მოითხოვდა შემოგველო სკოლაში მკაფიო მეტყველების (კერძოდ, დიქციისა და დეკლამაციის) კურსი.

წარმოთქმის ძირითადი ელემენტი არის ხ მ ა. ხმა ადამიანის მიერ ამოსუნთქვის დროს წარმოებული ბგერების შენაერთია, რომელიც გაბმით ისმის ლაპარაკის დროს.

სალაპარაკო ხმა შეიძლება იყოს დაბალი, საშუალო და მაღალი. დაბალი ხმა თავისი ბუნებით მძიმე და ბუნდოვანია, მაღალი — მკვეთრი და მშრალია, და თუ იგი ყვირილში გადადის, არასასიამოვნოდ მოქმედებს მსმენელზე.

მსმენელისათვის ყველაზე სასიამოვნო, ბუნებრივი და ემოციური საშუალო ხმაა. ამიტომ გამომეტყველებითი წარმოთქმის დროს მას უნდა მიემართოს. აუდიტორიის მოცულობასთან შეფარდებით საშუალო დონეზე დაყენებული ჩვენი ხმა საჭიროების მიხედვით შეიძლება ავა-<sup>1</sup>წაღლოთ, ან დავადაბლოთ ისე, რომ არ ვუღალატოთ თხრობისა თუ კითხვისათვის საჭირო ხმის საშუალო დონეს — არც ყვირილში გადავიქრათ და არც ჩუქჩულამდე დავეშვათ.

მკაფიო წარმოთქმისათვის მნიშვნელობა აქვს ხმის ჟღერადობას, ტემბრს, მოქნილობას. ყველა ამას მოლაპარაკე ისე უნდა აღწევდეს, რომ არ ჩრდილავდეს ხმის მდინარე მელოდიაში ცალკეული ბგერების, მარცვლებისა და სიტყვების გამოკვეთილობას. მათ მკაფიოდ გამოყოფას. ამის გარეშე ლაპარაკი დაემსგავსებოდა უბრალო და უაზრო ხმაურს.

ბგერიდან ბგერაზე, მარცვლიდან მარცვალზე ხმის გაგრძელებით და მიმოხრით (აწევ-დაწევით) გადავდივართ. ხმის ეს უწყვეტელობა და მიმოხრა ლაპარაკის პროცესში აუცილებელია. იგი გამოყენებულია როგორც ბგერა-მარცვალთა შემკრები. შემაერთებელი საშუალება. ეს არის მელოდია. მეტყველების ერთგვარი ღერძი, რომელზედაც ასხმულია სამეტყველო ბგერები, მარცვლები, სიტყვები, წინადადებები.

ბგერთი მკაფიობის მისაღწევად საჭიროა მეტყველების ტექნიკის განვითარება. რისთვისაც აუცილებელია სამეტყველო აპარატის რაობის გათვალისწინება, თვითეული ორგანოს ფუნქციის ცოდნა და მათი ეფექტურად მოხმარების ჩვევის გამომუშავება.

წარმოთქმის საქმეში დიდ როლს ასრულებს ს უ ნ თ ქ ე ა. სწორი წარმოთქმის გამომუშავება წესიერ სამეტყველო სუნთქვას ემყარება.

არასამეტყველო სუნთქვა, რომელიც ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის მომენტებისა და შუამავალი პაუზებისაგან შედგება, ადამიანის ნების გარეშე მიმდინარეობს, სამეტყველო სუნთქვა კი პიროვნების ნება-სურვილს ექვემდებარება. ლაპარაკის დროს ადამიანი მართავს თავის სუნთქვას, ამიტომ ვარჯიშით შეიძლება მისი განვითარება.

წესიერი სამეტყველო სუნთქვისათვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა ფილტვებში დაგროვილი ჰაერის არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით, ნელ-ნელა და დაზოგვით ხარჯვა და ასევე თანდათანობით, განუწყვეტლივ და შეუმჩნეველად მისი შევსება ლაპარაკის დროს. არ შეიძლება ჰაერის მარაგის მთლიანად დახარჯვა. ფილტვების დაცლა, ეს მოითხოვს ერთბაშადვე ხანგრძლივ ჩასუნთქვას ფილტვების შესავსებად. რაც გამოიწვევს ლაპარაკის შეწყვეტას, ხანგრძლივ პაუზებს, სასუნთქი აპარატის დაძაბულობას, ბიძგებს, ხმაურიან სუნთქვას, ანუ ქშენას. ყველაფერი ეს შეაფერხებს ლაპარაკს და ზიანს მიაყენებს წარმოთქმა-გაგონების პროცესს, მალე დაღლის მოლაპარაკეს. გააწვალებს მსმენელს.

„ფრაზა და მით უფრო სიტყვა სუნთქვამ არ უნდა გაწყვიტოს. ეს დიდი სირცხვილია, იმის გარდა, რომ გაუგებრობას ქმნის: სიტყვა ყელში არ უნდა გებჯინებოდეთ, როგორც ბავშვს, ისე უნდა სუნთქავდეთ, რომ მსმენელმა ვერც კი შეგატყოთ, ეს საანბანო ქვეშარიტებაა“.

(შ. დადიანი).

სუნთქვასთან დაკავშირებით დგება მეტყველების ტემპის საკითხი. კარგ მოლაპარაკეს უნდა შეეძლოს მსმენელზე ზემოქმედების მიზნით საჭირო მომენტში ააჩქაროს ლაპარაკის აღებული ტემპი, ანდა შეანელოს იგი. ნელი ლაპარაკის დროს წუთში დაახლოებით 60 — 70 სიტყვა ითქმება, სწრაფი ლაპარაკის დროს 120 სიტყვამდე, საშუალო ტემპით მეტყველების დროს კი 80 — 90 სიტყვის წარმოთქმა შესაძლებელი. ტემპი უნდა ეფარდებოდეს აუდიტორიის მოცულობასაც. ჩვეულებრივ, დიდ აუდიტორიაში ნელი ლაპარაკია მიზანშეწონილი, მცირე აუდიტორიაში კი — ჩქარი.

გამომეტყველებითი წარმოთქმის დროს სწრაფ და დინჯ ტემპს ერთმანეთს უნაცვლებენ. ჩვეულებრივ, ნაკლები მნიშვნელობის ფრაზებს, თხრობით დეტალებს სწრაფი ტემპით გადმოსცემენ, მნიშვნელოვან, ძირითად მომენტებს კი უფრო დინჯსა და ნელ ტემპს უფარდებენ.

ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ისეთი ემოციები, როგორიცაა წყრომა, შფოთი, რისხვა, შიში, ძრწოლა, სიხარული, აღტაცება და მისთანები, მეტყველების სწრაფ ტემპს უფრო ეგუება. ხოლო სათუთი, ლირიული განცდები, სევდა-კაეშანი, მოწყენილობა, ტრფობა, ალერსი და სხვა უფრო ნელი, დინჯი ტემპით გადმოიცემა.

მეტყველების ტემპი მჭიდროდ არის დაკავშირებული პაუზაციასთან. სწრაფი ლაპარაკის დროს. ცხადია. მოკლე პაუზები გამოიყენება. ხოლო მეტყველების ნელ ტემპს უფრო ხანგრძლივი პაუზები ჰქონდება.

წარმოთქმის მნიშვნელოვან ფაქტორს მახვილი შეადგენს. „მეტყველების ელემენტთა გამოყოფა-გამოჩინებას ან მათს ერთმანეთთან და-

პირისპირებას სიძლიერე-სიმადლით და ამათი მოდულაციით ეწოდება მახვილი“. (გ. ახვლედიანი).

სიტყვის ჩვეულებრივი, ე. წ. ლინგვისტური (გრამატიკული) მახვილი, რომელიც თვითეული კონკრეტული ენისათვის საგანგებო და თავისებურია, ამთლიანებს სიტყვას, როგორც საწარმოთქმო ერთეულს და ჰქმნის მეტყველების რ ი ტ მ ს. იგი ერთ ან ორ მარცვალს გამოყოფს წინადადებაში ხმის გაძლიერებით ან ამაღლებით. პირველ შემთხვევაში მახვილი დინამიკური იქნება, მეორე შემთხვევაში — ტონური, ანუ მუსიკალური.

ქართულ ენაში სიტყვის მახვილი დინამიკურ-ტონური ხასიათისაა, ამავე დროს „უძრავი, იგი მოუღის ერთზე მეტმარცვლოვან სიტყვებს ბოლოდან მესამე მარცვალზე“ (თუ სიტყვა ორმარცვლიანია. მაშინ მხოლოდ მეორეზეა), მაგალითად: წრგნი, მქლანი, საწქრელი, მასწავლებელი, გასავეითარებელი და ა. შ.

საყოველთაოდ გავრცელებული ეს შეხედულება ქართულ სიტყვათ-მახვილზე პროფ. ს. ჟღენტმა ექსპერიმენტული კვლევა-ძიების შედეგად განაზრცო, დაასაბუთა და დააზუსტა. მან ქართული მახვილის ბუნება მეტყველების რიტმიკულ ჯგუფებს, მთელ ფრაზებს დაუკავშირა, სიტყვათა მთლიანობაში განიხილა და აღნიშნა:

„ამჟამად ქართულში (და საერთოდ ქართველურ ენებში) მოქმედი მახვილი მუსიკალურ-დინამიკური ტიპის რიტმიკული მახვილია“ და „ქართული წარმოთქმისათვის დამახასიათებელია რიტმიკულ-მელოდიკური მთლიანობა სუსტად გამოხატული დინამიკურობით“. (ს. ჟღენტი, ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, თბ., 1963 წ., გვ. 12).

არსებობს წინადადების ე. წ. ლოგიკური მახვილიც. იგი ერთ ან რამდენიმე სიტყვას გამოარჩევს მთელ წინადადებაში, რომლებიც საგანგებო სიძლიერით წარმოითქმება და ხაზს უსვამს მათი შინაარსის მეტ მნიშვნელობას სხვა სიტყვებთან შედარებით.

მახვილიანი და უმახვილო სიტყვებისა და ფრაზების გაბმული მთლიანობა ქმნის სამეტყველო ინტონაციას.

როგორც ვთქვით, წარმოთქმის პროცესი ერთიან მდინარ ბგეროვნობას წარმოადგენს, მაგრამ იგი მონოტონური არ არის. ასე რომ იყოს, ე. ი. ზეპირმეტყველება ერთ ტონზე რომ იყოს აწყობილი, მისი მოსმენა გაგვიჭირდებოდა, იგი მომაბეზრებელი და გაკვიანურებული ხმინობა იქნებოდა.

ყველასათვის ადვილად შესამჩნევია, რომ ეს ასე არ არის. ცნობილია, რომ ჩვეულებრივი მოლაპარაკეც კი ხმას ბევრნაირად ცვლის სა-



ქიროებისდა მიხედვით. ხან აძლიერებს, აძლევს, ხან ასუსტებს. ადაბლებს, მარცვლებს ზოგს გრძლად, დაყოვნებით გამოთქვამს, ზოგ ბევრას უფრო მკაფიობას ანიჭებს, ტემპს ან აჩქარებს, ან ანელებს. ხმარობს სხვადასხვანაირ პაუზებსა და მახვილებს და ქმნის ერთგვარ მუსიკალობას.

ამის მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ ენას, მეტყველებას თავისი მუსიკალური მხარე აქვს. ეს თვისება უაღრესად დიდ როლს ასრულებს ენის საკომუნიკაციო ფუნქციის შესრულებაში.

ცნობილი ფონეტიკოსი ლ. შჩერბა აღნიშნავს: „მეტყველების ფრაზებს ახასიათებს მელოდიკური მთლიანობა, რომელიც მეტ-ნაკლებად ანალოგიურია მუსიკალური ფრაზებისა“.

ენის მუსიკალობა ხორციელდება სხვადასხვაგვარი მახვილების, პაუზების მოხმარებითა და მათი განაწილების ორგანიზაციით. ყველაფერი ეს კი ქმნის ინტონაციას.

წარმოთქმას ყველა კერძო შემთხვევაში გარკვეული ინტონაცია ახასიათებს. ცნობილია ისიც, რომ ყველა ენას თავისი სპეციფიკური ინტონაცია აქვს და ამავე დროს „ყოველი ენის ინტონაცია თავისი ბუნებით ეროვნული ელფერის მქონეა“. (ს. ჟღენტი, დასახელებული წიგნი, გვ. 18).

ამის მიხედვით ერთი ენა უფრო მეტად განირჩევა მეორე ენისაგან, ვიდრე თავთავისი ბგერითი სისტემებით. ამიტომაცაა, რომ სიტყვების გაურჩევლად მსმენელი ხშირად იცნობს, თუ რა ენაზე ლაპარაკობს ესა თუ ის პირი. ისიც ხდება, რომ ადამიანი კარგად აითვისებს მისთვის არამშობლიურ რომელიმე ენას, თავისუფლად ლაპარაკობს მასზე, მაგრამ ვერ იყენებს რა ამ ენისათვის დამახასიათებელ მახვილებს, ინტონაციას, თავისი მშობლიური ენიდან სესხულობს მათ, ე. ი. ლაპარაკობს შესწავლილ ენაზე არა ამ ენის ფონეტიკურ თავისებურებათა მიხედვით, არამედ მშობლიური ენის ინტონაციის საფუძველზე. ამ მოვლენას ყოველდღიურ ლაპარაკში „აქცენტს“ უწოდებენ. აქცენტი სავსებით სამართლიანად ითვლება ენის სიმახინჯედ და ყოველთვის უნდა ვცდილობდეთ მის დაძლევას.

ცალკეული ენის ფარგლებშიც არჩევენ წმინდა ლიტერატურულ ინტონაციას უაღრესად მრავალფეროვანი კუთხური ინტონაციებისაგან. ცნობილია, მაგალითად, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობის მეტყველება ერთმანეთისაგან აშკარად განსხვავდება ინტონაციურად.

სწორმეტყველებისათვის დამახასიათებელია ლიტერატურული ინტონაცია, რაც თავის მხრით სხვადასხვაგვარია სათქმელის შინაარსის,

მისი დანიშნულებაა. მსმენელთა მოაზარების, ასაკის, მოლაპარაკის სუბიექტური თვისებების, სალაპარაკო გარემოს და სხვა პირობების მიხედვით.

ლიტერატურული ინტონაციის დაცვა როგორც ყოველდღიურ, ისე. და განსაკუთრებით, საჯარო მეტყველების დროს ენის სიწმინდისათვის ბრძოლის მეტად მნიშვნელოვანი და გადაუდებელი მოთხოვნაა.

გარკვეული მნიშვნელობა აქვს სწორი წარმოთქმისათვის სამეტყველო პაუზებს. თუ მახვილები ერთ საწარმოთქმო რიტმიკულ-მელოდიკურ ჯგუფებად ჰკრავენ და ამთლიანებენ სათქმელს, საპაგიეოდ პაუზები სთიშავენ მათ ერთმანეთისაგან.

წარმოთქმაში სიტყვათა გაერთიანებისა და დანაწევრების ეს პროცესები, რომელთა მონაცვლეობა ხმის მოდულაციის საფუძველზე გარკვეულ უწყვეტ ინტონაციას ქმნის, შეპირმეტყველებაში თავისთავად, ბუნებრივად ხდება, რაც შეხამებულია ლაპარაკის პროცესის აზრობრივ შინაარსთან. მაგალითად, ორი სიტყვა „გაფრინდა“ და „შვილი“ გათიშულად, თავისებური ინტონაციით წარმოითქმება ამ წინადადებაში:

კი არ წავიდა, პირდაპირ გაფრინდა შვილი!

მაგრამ იგივე ორი სიტყვა ერთ მთლიან ფონეტიკურ ერთეულად გვევლინება და სხვა ინტონაციური ელფერი აქვს ანუ გამოთქმაში:

ჩემი მეგობრის გვარია გაფრინდა-შვილი.

ცხადია, სიტყვათშორისი პაუზები განსხვავდება წინადადებათა გამყოფი პაუზებისაგან თავისი ხანგრძლიობით გამორკვეულია, რომ სრულმნიშვნელოვანი სიტყვები, რომლებიც ერთმანეთთან შინაარსობრივად და გრამატიკულად არის დაკავშირებული (ე. წ. სინტაგმის წევრები), ერთ რიტმიკულ ჯგუფს ქმნის და წარმოთქმის დროს მათ შორის პაუზა შეუმჩნეველია. ასეთებია მსაზღვრელ-საზღვრულთა წყვილეულები: შემართული ხმალი, ცივი ზამთარი, ლაყვარდი ცა, ჩემი წიგნი, კედლის საათი, ტყის დღე. მწერალთა კავშირი: გარემოება და შემასმენელი: კარგად წერს, გუშინ წვიმდა, ზრდილობიანად მიესალმა; შემასმენელი და დამატება: წიგნი მოიტანა, ქვა ააგდო, შეშა დააპო, ხეს მიეყრდნო: დამხმარე სიტყვებზე სრულმნიშვნელოვან სიტყვებთან: თან წაიყვანა, ხეებს შუა, სახლის წინ, უნდა წავიდე, არ ვიცი...

მიუხედავად ამ კანონზომიერებისა, ზოგი მოლაპარაკის (მსახიობის, მასწავლებლის, ლექტორის, მოაწავლის) მეტყველებაში შესამჩნევია ქართულისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი ინტონაციის დარღვევა და რიტმიკული ჯგუფების არასწორად, გათიშულად წარმოთქმა, მაგალითად:

ოთხი... წელიწადი; შენი... კვინსამე; სმალი... გავტყორცე; ჩვენი... ხუმრობა; ვეფხი... კლდით გადაეკიდა; ეს შენი... ჭაქვის კალთები.

ზოგჯერ საწარმოთქმო პაუზების დაუცველობა აზრის რადიკალურად შეცვლასაც კი იწვევს, როგორც ამას ქვემოთ მოყვანილი წინადადება გვიჩვენებს:

სამუშაო შესრულებულია ცუდად... ვერ შევაფასებთ.

სამუშაო შესრულებულია... ცუდად ვერ შევაფასებთ.

საჯარო წარმოთქმის დროს ხშირად მიმართავენ ე. წ. ფსიქოლოგიურ პაუზებს. ასეთი პაუზები გამოხატავს მოლაპარაკის ემოციურ განწყობილებას, შემოქმედებით მომენტებს, მსმენელთა ცნობიერებაში თქმულის აღბეჭდვისათვის საჭირო დროის მიცემას, მოლოდინს გამოხმაურებისათვის და სხვა ელემენტებს, რომლებიც საჭიროა მსმენელებზე შემოქმედებისათვის. ფსიქოლოგიურ პაუზებს მოხდენილად უნდა შერჩევა-გამოყენება, იგი მკვიდროდაა დაკავშირებული სათქმელის შინაარსთან და დამოკიდებულია მოლაპარაკის ოსტატობაზე. არასწორად გამოყენებული პაუზები არღვევს მეტყველების მდინარებას, ანელებს ტემპს, აცივებს აუდიტორიას და მსმენელებში ქინის ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ორატორი ბორძიკობს, ივიწყებს სიტყვებს, წვალობს, ქედს იხრის. წარმოთქმის სიძნელეთა წინაშე და სხვა. ამიტომ ვინც არ არის კარგად გაწვრთნილი საჯარო მეტყველებაში, იგი უნდა ერიდოს პაუზებს, მეტყველების დროდადრო შეწყვეტას, რათა თავიდან აიცილოს ყოველგვარი სახიფათო მოულოდნელობა.

ყველა სხვა მომენტებთან ერთად წარმოთქმის დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია მოლაპარაკის პოზაცია, რასაც საგანგებო ყურადღება უნდა ექცეოდეს საჯარო გამოსვლების დროს.

ორატორი კათედრასთან აუცილებლად წელში გამართული, მხრებ და მკერდგაშლილი უნდა იდგეს (ეს პირველი პირობაა სწორი სუნთქვის დასაყენებლად), იგი პირდაპირ და შთაგონებით უნდა უმზერდეს აუდიტორიას და არა მარტო სიტყვით, მეტყველების მდინარებით და მუსიკალობით, არამედ თვალთაც ბოქავდეს მის ყურადღებას. ლაპარაკის დროს იგი ერთი წუთითაც არ უნდა ივიწყებდეს დარბაზის შეზღვევნილობას, ფხიზლად უნდა ადევნებდეს თვალყურს მის მდგომარეობას, სწრაფად უნდა ახდენდეს მსმენელთა შთაბეჭდილებაზე რეაგირებას, განსაზღვრავდეს მის განწყობას და ამ განწყობის შესაბამისად წარმართავდეს მსჯელობის პროცესს. ამ შემთხვევაში მოლაპარაკესა და მსმენელს შორის იბმება ერთგვარი უხილავი, შემოქმედებითი, ფსიქოლოგიური კავშირი, რაც უზრუნველყოფს საუბრის შინაარსის სიამოვნებით ათვისებას და აღაფრთოვანებს თვით ორატორს. ამგვარი ცოცხალი კავშირი ადამიანთა შორის გამორიცხულია მაშინ, თუ ორა-

ტორი ცოცხალი წარმოთქმის საცვლად მხოლოდ კითხულობს თავის საწერს და მით ეთიშება აუდიტორიას, წყდება მას და ტექსტს ეჭაქვება.

დაუშვებელია მეტყველების დროს ზედმეტი მოძრაობა, სიარული, გადაჭარბებული ყესტები, როგორც შინაგანი ღელვის გამოძვლავნება, თვალის გაშტერება რაიმე საგანზე, ფანჯარაში ყურება, თვალების დახრა (სიმორცხვით ან შეგნებული განზრახვით). ეს ყველაფერი ფანტავს აუდიტორიის ყურადღებას და გართობის ხასიათზე აყენებს მას.

ჩვენი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა წარმოთქმის კულტურას, ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული ქართული ლიტერატურული წარმოთქმის ნორმები, სკოლასა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ნაკლები კონტროლი ეწევა ზეპირმეტყველების ხარისხს, არ არის გაშლილი ფართო საზოგადოებრივი ბრძოლა წარმოთქმის სიწმინდისათვის. ამის გამო ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა უბანზე — სკოლაში, თვით სამწერლო და სახელოვნო ორგანიზაციების საქმიანობაში, სალექციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში, საუწყებო საინფორმაციო დაწესებულებებში (კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი, რადიო, ტელეხედვა) ამ მხრივ ბევრ სერიოზულ ნაკლსა და კურიოზულ შემთხვევებსაც კი ვაწყდებით.

ხშირია შემთხვევა, როდესაც მოსწავლე აწეული, თითქმის სამიტინგო ხმით მოუთხრობს მასწავლებელს გაკვეთილს. მის ხმას ახასიათებს ერთგვარად ამღერებული და მონოტონური ინტონაცია, ტრაფარეტული სიმშრალე და უაზრობა.

წარმოთქმის ასეთი დეფექტები თავს იჩენს უმაღლეს, სასწავლებლებშიც. ზოგი ახალგაზრდა კრებაზე სავსებით მოუმზადებელი გამოდის, ლაპარაკობს წყვეტილ-წყვეტილად, ბორძიკით, ხმარობს ზედმეტ ბგერებს, სიტყვათა მოგონებისათვის ჩერდება, აკეთებს ხანგრძლივ, არასაკირო პაუზებს, სუნთქავს უწესრიგოდ; ზოგიც მიმართავს ყალბ პათოსს, ხელოვნურად ძაბავს არტიკულაციას, ლაპარაკობს ძლიერ აჩქარებულად, სხაპა-სხუპით ან პირუკუ, ზანტად, სიტყვების ტკეპნით, ყლაპავს სიტყვებს...

საკიროა, რაც შეიძლება მალე სამზეოზე გამოვიდეს ქართული სწორწარმოთქმის საკითხი. ამ მნიშვნელოვანი საქმით უნდა დაინტერესდეს ფართო საზოგადოებრიობა. კულტურულ-საგანმანათლებლო და აღმზრდელი ბიძა დაწესებულებებმა თავისი ყურადღების საგნად უნდა აქციონ ზრუნვა მართლმეტყველებისათვის.

გამოვლენილ ნაკლოვანებათა შესწავლის საფუძველზე უნდა დაისახოს ფართო პრაქტიკული ღონისძიებანი ქართული სალიტერატურო ენის მტკივნეულ საკითხთა მოსაგვარებლად.

ჩვენი მეტყველების სრულქმნა-განვითარებისა და მასებში დანერ-

გვის მიზნით საჭიროა. პირველ რიგში იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა დარაზმვა. ყოველი ლექტორი, პროპაგანდისტი, მასწავლებელი თუ მოსწავლე, მეცნიერი თუ მწერალი დაინტერესებული უნდა იყოს მშობლიური ენის სიწმინდის საკითხებით. ისინი ყოველდღიურად უნდა ცდილობდნენ მთელ თავიანთ საქმიანობაში ეფექტურად გამოიყენონ სწორად წარმოთქმული და შინაარსობრივად გამართული სიტყვა, გამომოცემისა და გაგების ეს შეუცვლელი საშუალება.

## სარჩევნი

1. სწორპრეცედების წინააღი და დანშნეღღუნა 3
2. გრამატულა წყობა 10
3. ღუნწია და სტილი 24  
წარბოტქმა 39

რედ. ქუთობი ვ. შაიკიაძე  
მს. რედაქტორი ზ. კავანაძე  
ტექნიკ. ქუთობი ე. კოროშინიძე  
კორექტორი ე. ტაბუცაძე

სელმონერილია დაბეჭდავ 7. X-66 წ. ქალაქის  
ონა 60 X 90. ნ ბეჭდუი საბაზი 3. სააღრცხეოს გამონ-  
ცემლო საბაზი 2,51.

უე 119:8. ტირაჟი 4000. შეევეთა № 145.  
ფახი 8 კაბ.

ე. მოსცეფლობა „განათლებლა“, თბილისი, კაბოს ქ., 1ბ  
Издательство „Ганатლება“, Тбилиси, ул. Камо, 1б.

1966

ბეჭდვითი სიტუვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.  
Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджаншвили, 5.